К 276.884
3
მუზეუმი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

# სანდრო მაისურაძე

1884—1918 წ.

რ. არსენიძის რედაქტორობით.

გამოცემა
სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საც. სამკითხვ. გამგეობისა.
თბილისი 1920 წ.

83

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

(47.93) 92
მ 15

# სანდრო მაისურაძე

1884—1918 წ.

124

К 276.889
3

59428

რ. არსენიძის რედაქტორობით.

Библиотека при ЦК ЛКСМ

გამოცემა
სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საც. სამკითხვ. გამგეობისა.
თბილისი 1920 წ.

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო მაისურაძე
1894—1918.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ეს წიგნი ერთი მოწინავე მუშის პატივსაცემლად გამოდის. ბევრს გაუკვირდება კიდეც, როცა სათაურს წაიკითხავს. სანდრო მაისურაძეს ხომ ფართე, მაღალი საზოგადოება ვერ იცნობდა. მას ისეთი ხანგრძლივი და მრავალფეროვანი ღვაწლი არ მიუძღოდა ჩვენი ფართე საზოგადოების წინაშე. იგი არც გამოჩენილი მწერალი იყო, არც მხატვარი, არც ნიჭიერი პოეტი ან პუბლიცისტი.

იგი იყო მუშა, მუშა, რომელიც თავის მოძმეებში, მასავით შრომის ჭაპანწყვეტაში ჩაბმულ პირებ შორის ეწეოდა შეძლებისადაგვარად ენერგიულ მუშაობას ყველა დაჩაგრულთა განთავისუფლებისათვის.

«გმირების» მოტრფიალე საზოგადოებას არ უყვარს ჩვეულებრივ ადამიანის ან მხოლოდ ნიჭიერის ასე გაზვიადება, იგი მას მარხავს და ივიწყებს.

მუშათა კლასი კი ასე არ იქცევა. მას სხვა ტრადიციები აქვს. დღემდე იგი მოკლებული იყო საშუალებას თავისი «საყვარელი მიცვალებულები» ისეთი სახით აღენიშნა, როგორც სურდა და შესაფერად დაეფასებინა.

«საყვარელი მიცვალებულები» კი მასაც არა მცირედი მოეპოება. თუნდაც ჩვენი დეპუტატების სამარე რომ გავიხსენოთ, ისიც საკმარისი იქნება ამის დასამოწმებლად.

არ დავფარავთ, ყველა ეს მოსაგონარი გმირები უმეტეს ნაწილად ინტელიგენტურ წრიდან იყვენ გამოსულნი და მუშათა კლასთან ბრძოლისა და გაჭირვების ცეცხლში თანშეზრდილები.

მუშათა კლასს ჩვენში ამ ბოლო დრომდე თავის საკუთარი წრიდან ისეთი დიდი და ძლიერი ბელადები არ წარმოუშვია, როგორც ევროპაში.

მაგრამ შემცდარი იქნება ვინც იფიქრებს, რომ ჩვენი მუშათა კლასი მხოლოდ ფიზიკური შრომის მატარებელია, რომ იგი არ ზრდის თავის წიაღში იმ გონებრივ ძალას, რომელსაც შეუძლია აწ უკვე შემცირებულ სოციალისტ-ინტელიგენტთა ადგილი დაიჭიროს. მუშათა ინტელიგენცია, ე. ი. მუშათა წრიდან გამოსული პოლიტიკური ხელმძღვანელები უკვე წამოიზარდენ და ერთი ასეთთაგანი იყო ამხ. სანდრო მაისურაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა კლასი კარგა ხანია გამოვიდა სხვა კლასების მოველ-
გვარი ოპეკისაგან. მან შექმნა თავისი საკუთარი კულტურული გზა,
თავის საკუთარ წინამძღვრებს ზრდის, საკუთარ გმირებს ბადებს.

მართალია სხვა კლასის მოღვაწეთაც იგი დიდ პატივსა სცემს,
მაგრამ თავის საკუთარ შვილებს განსაკუთრებული თბილი გრძნობით
იგონებს.

მუშათა კლასს, რომელსაც ისტორიამ არგუნა ბედათ უდიდესი
მისია, ახალ კაცობრიობის შექმნისა, ახალ სოციალისტურ წყობი-
ლების მეაკვანეთ ყოფნისა, უნდა ყავდეს და ყავს კიდეც თავის სა-
კუთარი და მხნე მოღვაწეები, რომელთა მაგალითი მისაბაძია, რო-
მელთა გაკაფული გზა სახვალიოთ მან უნდა გააგრძელოს.

მართალია მუშათა კლასს «გმირების» უებრო და შეუდარებე-
ლი როლი არა სწამს, მას ყავს მხოლოდ ერთი მასსიური გმირი:
თვით კლასის მოძრაობა, მაგრამ ამ მოძრაობაში იგი აღნიშნავს ყვე-
ლა გამოჩენილ ძალას, რომელიც მის წინმსვლელობას ხელს უწყობს
თავის გონიერ მოქმედებით და ხელმძღვანელობით. ერთი ასეთთა-
განია ამხ. სანდრო მაისურაძე.

იგი მოწინავე მუშა იყო და მოწინავე მებრძოლი. მუშათა
კლასმა აღზარდა იგი, და მან ურწია აკვანი. მთელი ძლიერება სან-
დროს პიროვნებისა იყო ძლიერება ჩვენი მუშათა კლასის. ამიტომ
მისი პატივისცემა არის აღნიშვნა იმ საფეხურის, რომელზედაც ავი-
დენ დღეს ჩვენი მუშები.

თფილისის მუშებმა ასე დააფასეს ამხ. სანდრო, როცა მის სა-
ხელობაზე მისი გადაცვალების წლის თავზე გახსნეს პირველი ბიბ-
ლიოთეკა-სამკითხველო.

ამით, გარდა თავის გმირულად დაღუპული ამხანაგის პატივის-
ცემისა, მათ გამოხატეს ის საერთო ზრდა მუშათა რაზმებისა, რომე-
ლიც ასეთ პირებს იძლევა.

ბიბლიოთეკა სანდროს სახელის—ესაა ბიბლიოთეკა. მოწინავე
მუშის სახელისა.

წიგნი მისი ბიოგრაფიით და ცნობებით—ეს არის წიგნი მოწი-
ნავე მუშის ცხოვრებისა, ბრძოლისა და სიკვდილისა. იგი თუ გნე-
ბავთ აღწერაა მოწინავე შეგნებულ მუშა მებრძოლის ტიპისა. და
სწორეთ, როგორც მოწინავე ტიპი, არის ამხ. სანდრო ძვირფასი,
რომ სანდრო გამონაკლისი ყოფილიყო, ან განმარტოვებული მოვ-
ლენა, მის წიგნს ნაკლები საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნებოდა.
დღეს კი ეს წიგნი თუ გნებავთ, კონკრეტიულ სახით გადმომცემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საერთო, საზოგადო თვისებებისა, რომელიც ასულდგმულებს ჩვენს მუშათა კლასს.

ვისაც უნდა გაიგოს, რათ არის ძლიერი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, მან უნდა გადათვალიეროს ეს წიგნი. ვისაც უნდა გაიგოს, რა ძალა და ნიჭი იფარება ჩვენ რევოლიუციონურ მუშათა კლასში, მას იგი წიგნის სისქეში ამოიკითხავს.

ამიტომ გარდა პირადი პატივისცემისა, რომლის ღირსია უცილობლათ ამხ. სანდრო, ეს წიგნი ამ მოსაზრებითაც არის გამოცემული. იგი სანდროს ხსოვნასაც გაამტკიცებს და მემატიანესაც მდიდარ მასალას მისცემს.

მკითხველი თვით დაინახავს, აქედგან, რომ უბრალო მუშის ცხოვრება და მოღვაწეობა შეიძლება არა ნაკლებ საყურადღებო იყოს, ვინემ რომელიმე «ბუმბერაზი» ადამიანის. ხოლო ვისაც მუშათა კლასის მომავალი იდეალები სწამს და მისი პრაქტიკული განხორციელება სანუკვარ საგნათ მიაჩნია, ამ წიგნიდან საუკეთესოთ გაეცნობა იმ «ბურჟუაზიის მესაფლავე კლასს», რომელსაც თამამათ შეგვიძლიან ვთქვათ, ღირსეულათ დაეკისრა ქვეყნის გარდაქმნა სოციალისტურ ნიადაგზე.

**რ.—აძე.**

—

R. S. ამხ. სანდროს გარდაცვალებას ბევრი საყურადღებო სიტყვები უძღვნეს, როგორც დასაფლავების დროს, ისე წლის თავზე მის სახელობის ბიბლიოთეკის გახსნის დღეს.

ჩვენ ყველა ეს სიტყვები ვერ მოვაგროვეთ. თვით წარმომთქმელ, მრავალ სამუშაოებით დატვირთულთ, არ ეცალათ მათ აღსადგენათ. მასალებში კი ან ვერ ვიპოვეთ, ან თუ ვიპოვეთ, შემოკლებით. რეპორტიორის მეხსიერებაზე დანდობას ჩვენ ვარჩიეთ ასეთ მოკლე შინაარსის სულ გამოტოვება ამ კრებულიდან. მით უმეტეს რომ შემოკლებული სიტყვა ყველა ერთმანეთს გავს რეპორტიორის კალმის ქვეშ. უმთავრესათ ჩვენ ვსარგებლობთ დასტამბული წერილებით, ბევრმა სანდროს პატივისმცემლებმა სპეციალურათ ამ გამოცემისთვის დასწერეს თავის მოგონებანი და შთაბეჭდილებები.

**რ. ა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სანდრო მაისურაძე

(დაიბადა 1884 წ. 15 აგვისტ.—გარდაიცვალა 1918 წ. 19 დეკ.)

არა მგონია ბევრს ქონდეს ნათელი წარმოდგენა სანდრო მაისურაძის პიროვნებაზე. ეგრეთ წოდებული ფართო საზოგადოება მას თითქმის სულ არ იცნობდა და მხოლოდ შარშან გაიგო მისი არსებობა, როცა სანდროს გაცივებული გვამი საძმო სასაფლაოზე მიასვენეს სხვა დახოცილ გვარდიელებთან ერთად, სანდრო სხვებთან ერთად სახალხო გვარდიას ხელმძღვანელობდა სომხეთთან ომის დროს და რადგან ჩვენი საზოგადოების ყველა წრეები, აღშფოთებული იყო დაშნაკური მთავრობის თავხედობით. ამიტომ სანდროს ყურადღება მიაქციეს, როგორც ამ ბრძოლაში დაღუპულს მეთაურს გვარდიისას. მაგრამ ეს არ იყო მისი პიროვნების სავსებით დაფასება, ეს იყო მხოლოდ უმთავრესათ და უპირველესათ დემონსტრაცია საკუთარ გრძნობებისა: ჩვენმა საზოგადოებამ გამოაფინა საკუთარი სახე და შეხედულებანი, სანდროს პიროვნება იყო ფოკუსი ამ გრძნობების გამოსამზევრებლათ. არსებითად რომ ვსთქვათ სანდრო მაისურაძეს დღესაც არ იცნობენ საკმაოდ. მის ხსოვნას პატივს სცემენ როგორც გვარდიელს და გვარდიელთა ხელმძღვანელს, რომელმაც სამშობლო ქვეყნისათვის დასდო თავი.

არც პარტიის ფართო წრეებმა იცოდენ მე მგონია ნამდვილი ფასი და ღირებულება სანდროს პიროვნების. მეც ერთ მის ახლობელ ამხანაგსაც არ მქონდა საკმაოდ გათვალისწინებული თუ რა დიდ პიროვნებას წარმოადგენდა სანდრო.

და მხოლოდ ეხლა, როდესაც მისი ნაწერები და მოგონებები გადავიკითხე და ჩემს პირად მოგონებებს დაუკავშირე, მივხვდი თუ ვინ ყოფილა სანდრო მაისურაძე. რა დიდი რამ დაუკარგავს მასში ს.-დ. პარტიას და მთელ მუშათა კლასს.

ჯერ კიდევ 1905 წელს იპყრობდა სანდრო ჩვენს ყურადღებას თავისი ამაყი და მედიდური გამომეტყველობით და გაბედული მსჯელობით. ის მუდამ წიგნებში იყო ჩაფლული. ყოველ საგანზე ღრმათ და ბევრს ფიქრობდა. პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხზე გულდასმით მსჯელობდა და აზროვნობდა. თეორიულ განვითარებას პრაქტიკულ მუშაობაზე, ნაკლებ არ ეტანებოდა. მუშათა შორის კი არა ინტელიგენტებშიაც ბევრი არ იქნება მასზე უფრო ნაკითხი და დაკვირვებული ადამიანი.

ხელობით სანდრო ზეინკალი იყო და მუშებთან ჰქონდა მუდამ საქმე. 1908 წელს ის კომიტეტის სხდომაზე დაიჭირეს და, ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ, გადაასახლეს ორი წლით ვოლოგდის გუბერნიაში. რეაქციის დღეებიდან დაჭერამდი ის დიდ ენერგიულ მუშაობას ეწეოდა წყალსადენის მუშათა კავშირში, რასაკვირველია ფარულად. თფილისში დაბრუნებას ეღირსა 1913 წ. რომანოვების სადღესასწაულოთ გამოცემული მანიფესტის ძალით. ამ დღიდან ის ენერგიულ მუშაობას ეწევა ტრამვაიელებში, და სხვებთან ერთად მხურვალე მონაწილეობას იღებს კოოპერატივ «აღორძინები»-ს დაარსებაში, რაც მაშინდელ პირობებში ერთობ ძნელი საქმე იყო. 1917 წლის რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე სანდრო მხურვალე მონაწილეობას იღებს ყველა საქმეებში. ბოლოს ის იყო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ამხანაგი.

ამ მხრით მისი მუშაობა ყველას თვალწინ ხდებოდა. სანდრო შეუსვენებლივ გადადიოდა ერთი ფრონტიდან მეორეზე, ის ხან სანდართან ებრძოდა ყაჩაღთა ბანდებს, ხან ცხინვალის, რაიონში ხან სოხუმში და დუშეთში ბოლოს სანდრომ მონაწილეობა მიიღო სომხეთთან ომში და 19 დეკემბერს 1919 წელს ეკატერინოფელდში ის კიდეც გამოასალმა მტრის ტყვიამ წუთისოფელს.

ამ მხრით სანდროს ღვაწლი დაუფასებელია და მადლიერი შთამომავლობა მას ღირსეულათ დააფასებს.

მე მინდა ამ მოკლე სტრიქონებში ორ რამეს მივაქციო ყურადღება.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია სანდროს გაბედულობა და გმირობა მის უბრალო ხასიათთან და ნაზ გრძნობებთან შეზავებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სანდროს ბედი არ სწყალობდა. 1908 წ. მეტეხის ციხეში მაშინდელმა ციხის უფროსმა ნახევრათ გიჟმა ადამიანმა სანდრო ვიღაც ყაჩაღს და ციხიდან გაქცეულ მაისურაძეს მიამზგავსა, და ბორკილებში ჩაჭედილი 12 დღე ამყოფა ციხის სარდაფში (ტრიუმი). ვოლოგოდის გუბერნიაში მას ერთი უსაგაძლესი მაზრა (იაროდსკი) შეხვდა საცხოვრებლად და იქაც არ მოასვენეს. ჯერ გადაასახლეს მეორე მაზრაში (ულტსისოლსკში), აქედან შორეულ სოფელში და შემდეგ კიდევ უფრო შორს. ბედმა ის არც აქ მოასვენა: 1909 წ. ზამთარში მას ღამით თავს დაესხენ ნაძირალები, თავი გაუტეხეს, საცვლებს გარდა ყველაფერი გახადეს და თოვლით დაფარულ მინდორში დააგდეს—მკვდარი ეგონათ. კალმით აუწერელია ის გაჭირვება, რომელიც სანდრომ აიტანა, მაგრამ მისი მხიარული ხასიათი, მისი სიმტკიცე ოდნავათაც არ შეურყევია ამ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რემოებას. მისი მსოფლ მხედველობაც კიდევ უფრო მაგრდებოდა, თუმცა მის პირობებში სულ ადვილი იყო გაანარქისტება. და რაც დამახასიათებელია სანდროს დიდებული პიროვნებისათვის, სანდრო ყველა ამ უბედურობის და უსამართლობის გამოვლის შემდეგ მაინც ის ნაზი სანდრო იყო, რომელსაც წინეთ ვიცნობდი. და ამას იმიტომ აღვნიშნავ ასე ხაზ გასმით, რომ სანდროს გარეგნობას ამ მხრით შეეძლო ბევრი შეეყვანა შეცდომაში.

აღსანიშნავია სანდროს პიროვნების მეორე მხარე: ის მიუხედავათ იმისა, რომ უსწავლელი იყო, და მუდამ პრაქტიკულ მუშაობაში გაბმული, მაინც შესანიშნავი თეორეტიული ცოდნით იყო აღჭურვილი. ის ერთნაირი ხალისით და ენერგიით სწავლობდა, როგორც პოლიტიკურ ეკონომიას და მსოფლიო ისტორიას, ისე საქართველოს ისტორიას და ბელეტრისტიკას და პუბლიცისტიკას და ვისაც ენახავს სანდრო 1905 და 1908 წელს ციხეში და უკანასკნელ წლეებში ისე აშკარათ შეამჩნევდა სანდროს ზრდა—განვითარებას. და ამ წარმატებას სანდრომ მიაღწია პირადი შრომით და ენერგიით. აი მოკლეთ მისი ცხოვრების და აღზრდის პირობები. სანდრო დაიბადა 1884 წელს დგვრისში, გორის მაზრაში. სწავლობდა ცხინვალის ნორმალურ ორკლასიან სკოლაში, რომლის კურსი მამის სიკვდილის გამო ვერ დაამთავრა. 12 წლის სანდრო დედამ ჩამოიყვანა თფილისში. აქ სანდრო 5 წლის განმავლობაში ზეინკლობას სწავლობდა ვინმე რეიმანთან, რომელსაც ემსახურებოდა, როგორც ხელზე მოსამსახურე და იტანდა სხვა შეგირდებთან ერთად ცემა-ტყეპის რეჟიმს. ჯამაგირათ ეძლეოდა დღეში აბაზი პურის ფულად, კვირაში ორი შაური აბანოსი და ერთი მანეთი თვეში ტანისამოსისთვის, აქედან ორ-სამ მანეთს ყოველ თვიურად დედას უგზავნიდა, შეგირდობის გათავების შემდეგ მას დაუნიშნეს სამი აბაზი დღეში...

ასეთი იყო სანდროს პირველი სკოლა, რომელმაც მისივე სიტყვით ხელი შეუწყო მის გასოციალისტებას და ამ დღიდან ის პრაქტიკულ ცხოვრებაში გადაეშვა, მაგრამ ყოველ თავისუფალ წამს ის თვითგანვითარებას ანდომებს. განსაკუთრებით ციხეში და გადასახლების დროს ეწევა ის მეცადინეობას, რადგან აქ ყველაზე მეტი თავისუფალი დრო აქვს...

აი ასეთი ადამიანი მოსტაცა მუშათა კლასს მტრის ტყვიამ 1918 წლის დეკემბერში.

არიან, ასე ვთქვათ, ცალმხრივი პიროვნებანი, ცალმხრივად განვითარებულნი: აიკვიატებენ ერთ რამეს და მთლიან პიროვნების სახე ეკარგებათ. სულ სხვა იყო სანდრო: ის სულით და გულით სო-

ციალ-დემოკრატი იყო. თუ შეიძლება ასე ითქვას, პარტიის ნამდვილი პატრიოტი. მაგრამ ის არ ივიწყებდა ცხოვრების არცერთ მხარეს: ის კითხულობდა წიგნებს, ძალიან ბევრს კითხულობდა, მაგრამ იცოდა წაკითხულის ცხოვრებასთან შეგუება. და რაც გატაცებული უნდა ყოფილიყო, მას არ ავიწყდებოდა დედა, სამშობლო სოფელი, ნაცნობ-მეგობრები.

ბედნიერია ის დედა, რომელიც სანდროსთანა შვილს გამოზრდის. მხოლოდ მუშათა დემოკრატიას შეუძლია სანდროს მსგავსი პიროვნება წარმოშვას. და ჩვენი მუშათა კლასი ბედნიერი იქნება, როცა სანდროს მსგავსი პირები თითზე ჩამოსთვლელი აღარ იქნებიან.

მაშინ დაჰკრავს ნამდვილი ჟამი მისი ყოველ მხრივ განთავისუფლებისა.

კ. ნ.

## ბრძოლის ველი

(სამხ. შტაბის ცნობა).

19 დეკემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე მოვიდა ცნობა, რომ ეკატერინოფელდთან ბრძოლის დროს გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თამჯდომარის ამანაგი სანდრო მაისურაძე.

## ს. მაისურაძის გარდაცვალების ამბავი საქართველოს პარლამენტში

20 დეკემბერს დღის 1 ს. 30 წუთს შესდგა ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით საქართველოს პარლამენტის სხდომა. თავმჯდომარის წინადადებით პარლამენტი ფეხზე ადგომით აღნიშნავს ფრონტზე მოკლულ პარლამენტის წევრ სანდრო მაისურაძის ხსოვნას.

ამავე სხდომაზე გრ. გიორგაძემ (მაშინ. სამხედ. მინ.) გააკეთა მოხსენება სხვათა შორის 19 დეკემბრის ბრძოლის შესახებ. მან თქვა: «შემდეგ ბრძოლა მოხდა 19 დეკემბერს ვორონცოვკის ფრონტზე. როგორც იტყობინება გენ. ახმეტელაშვილი და ვალიკო ჯუღელის გვარდია იქ ღამე ჩასულა. ვერც კი მოესწროთ დასვენება, რომ მათ სროლა აუტეხეს. გვარდიელებს გარს შემოერტყა მტერი—შეიჭრა ბატარეიაში. გაიმართა საშინელი ბრძოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ვ. ჯუღელი, ა. მაისურაძე და ალ. დგებუაძე. ამ პირთა გამბედაობის და თავგანწირულების წყალობით, მიუხედავად იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სტრატეგიულად არ ეჭირა გვარდიას კარგი ადგილები. ჩვენებ-
მა მაინც საშინლად დაამარცხეს მტერი, რომელიც შესდგებოდა რვა
როტისაგან, რამდენიმე ტყვიისმფრქვეველით და 2 ზარბაზნით.
ბრძოლა სწარმოებდა დილის 6 საათიდან შუადამემდე. ბრძოლის
დასასრულს ჩვენ შეგვატყობინეს, რომ მტერი დამარცხებულია და
მათ დაედევნენ გვარდიელები. ამავე დეპეშით გვატყობინებენ, რომ
დაიღუპა სანდრო მაისურაძე, («ბორბა»).

## სანდრო მაისურაძის გარდაცვალების ამბავი თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში

19 დეკემბერს ნ. ნ. ჟორდანიას თავმჯდომარეობით შესდგა
თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა.
ნ. ნ. ჟორდანია ხსნის რა კრებას, აუწყებს საბჭოს, რომ სხვა და-
ხოცილ გვარდიელებთან ერთად, რომელთა გვარებიც ჯერ არ შეუ-
ტყობინებიათ, გმირულად დაიღუპა სახალხო გვარდიის ერთი მთა-
ვარი ხელმძღვანელთაგანი სანდრო მაისურაძეო.

ამ სამწუხარო ამბით აღელვებული საბჭო ფეხზე ადგომით აღ-
ნიშნავს ამხ. მაისურაძის და სხვა დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნას.

მე არ შეუდგები ახლა, ამბობს ნ. ჟორდანია, მის დახასიათე-
ბას. თქვენ ყველამ იცით ვინ იყო ის და იცით მთელი მისი მოღვა-
წეობა. მე ვიტყვი მხოლოდ რა პირობებში დაიღუპა იგი. ჩვენი
გვარდია იცავდა ეკატერინეფელდის გზას. ბურუსიან ამინდით ისარ-
გებლეს სომხის ჯარებმა, გარს შემოერტყენ და ხელთ იგდეს ჩვენი
ბატარეა. სახალხო გვარდია იერიშზე გადავიდა, რომ ეხსნა ბატა-
რეა და უკუ ექცია სომხის ჯარების ნაწილები; ეს გამარჯვება ძვი-
რად დაუჯდათ ჩვენ გვარდიელებს. მოკლულ იქნენ ამხ. მაისურაძე
და სხვა ბევრი გვარდიელები, რომელთაც თავიანთ გმირული თავ-
დადებით იხსნეს სიკვდილისაგან თავიანთი ამხანაგები და სახალხო
გვარდიელები და მტერი შეაჩერეს.

(«ბორბა» № 248, 21 დეკემბერი).

## კორესპონდენცია ბრძოლის ველიდან.

«პირველმა სროლამვე ფეხზე დააყენა ყველა გვარდიელები,
რომლებიც იდგენ ეკატერინოფელდთან. რამდენიმე წუთის შემდეგ
როტები მზათ იყვენ საბრძოლველათ. მაგრამ ჯარი ისეთ ადგილას
იდგა, რომ შეუძლებელი იყო გამორკვევა—თუ საიდან მოისმოდა
სროლა. ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენება სიმართლეს მოკლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა



სანდრო მაისურაძე სოჭის ფრონტზე.

იყო. როდესაც კი გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა რაზმი, რომელიც მოიწევდა ,ბატარეისაკენ, გენერალ ა-ს განკარგულებით ერთი როტა გაემართა ზელიკლიუჩის გზისაკენ. მათ მტრისთვის უნდა შემოეკლოთ. ამავე დროს ვ. ჯუღელმა, დგებუაძემ და ა. მაისურაძემ, თავი მოუყარეს რა ერთ როტამდე სახალხო გვარდიელებს, ერთი ტყვიის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მფრქვეველით მიაშურეს ბატარეისაკენ. ტყვიისმფრქვეველმა და თოფის ცეცხლმა სომხები უკუ აქცია. გაანთავისუფლეს რა სომხების მიერ დაკავებული ადგილი ჯუღელი, დგებუაძე და მაისურაძე დაბრუნდენ ტელეში, რომ იქიდან გაედევნათ სახლებში ჩასაფრებული მტერი- ერთი როტა გარს შემოარტყა არყის ქარხანას, სადაც თავი შეეფარებინათ სომხებს. ხელით სასროლ ყუმბარებით ისინი განდევნილ იქნენ იქიდან. ერთმა როტამ თავის სარდლის მეთაურობით გზა გადაუჭრა სომხებს და უკან დასახევი გზა მოუსპო.

სომხებმა დაინახეს რა, რომ მომწყვდეულ იქნენ აამუშავეს ტყვიისმფრქვეველები. იბოძოდენ გმირულათ, მაგრამ მათზე არა ნაკლებ იბრძოდენ სახალხო გვარდიელები. გვარდიელებს ესმოდათ ის მძიმე მოვალეობა, რომელიც მათ აწვათ და აკეთებდენ ყველაფერს რაც კი შესაძლებელი იყო თავიანთ ინიციატივით. როდესაც გამოირკვა საერთო მდგომარეობა, ამხ. ჯუღელი დაბრუნდა უკან, რომ გაეგზავნა როტები მარცხენა და მარჯვენა ფრთებისაკენ.

ამ მოშენტში იქმნა ტყვიით განგმირული სანდრო მაისურაძე. ამავე დროს ჩაჩუმდა ჩვენი ბატარეია. დაყოვნება შეუძლებელი იყო. როდესაც მარცხენა ფრთის ნახევარი როტა მაღლობზე გამოჩნდა. და გარს შემოერტყა სახლებს—გვარდიელებმა ხიშტები მოიმარჯვეს და ეკვეთნენ მტერს. ცენტრში კი ჯუღელისა და დგებუაძის მეთაურობით გვარდიელები შეიჭრენ სახლებში და ყველა იქ მყოფი, მათ შორის ერთი ბათალიონისა და ერთი როტის უფროსთაგანიც ტყვეთ წამოიყვანეს. სომხებმა გაიგეს რა «ურას» ძახილი—გაიქცენ და დასტოვეს ბატარეია. ჩვენები მიიჭრენ ბატარეიასთან, საბედნიეროთ არც ერთი ზარბაზანი არ იყო წამხდარი. იმ მომენტში, როდესაც ჩვენები ბატარეიას იბრუნებდენ ხელმეორეთ, მტერმა ზარბაზნებიდან ერთი ორი ყუმბარა გამოისროლა და მალე დადუმდა. გაქცეულ სომხებს ჩვენი ცხენოსანთა ასეული დაედევნა. ბრძოლა დამთავრდა. ჩვენ დავკარგეთ მაისურაძის გარდა ოამდენიმე საუკეთესო არტილერისტი და საუკეთესო მებრძოლი ამხანაგები. მაგრამ ჩვენი დანაკლისი 2 პროცენტს უდრის ბრძოლაში მონაწილეთა რიცხვიდან, იმ დროს როცა სომხებმა 30 პროცენტი დაჰკარგეს. ტყვეთ წამოიყვანეთ 180 კაცზე მეტი. საშინელ სანახაობას წარმოადგენდენ ეს შიშველ-ტიტველნი აოყით გამომთვრალნი ჯარისკაცები. ისინი გაიწვია სომხეთის მთავრობამ, გაგზავნა ბრძოლაში და დაპირდა მათ ყოველივე სიკეთეს თფილის ის აღებისათანავე და აოყით შეეცადა მათში ბრძოლის ენეოგია გაეღვიძებინა. ჩავარდენ რა ტყვეთ, ისინი დაჩოქილნი იხვეწებოდენ არ დაეხვრიტათ, ოგინი ირწმუნებოდენ, რომ ძალით გვაიძულეს სომხეთის ჯარში წასვლაო.

**მ. გლინსკი.** («ბორბა»).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე

სანდრო მაისურაძე გმირულათ დაიღუპა 19 დეკემბერს დაშნაკელების ლაშქართან ბრძოლაში ეკატერინოფელდთან. ვინ იყო სადრო მაისურაძე? სახალხო გვარდიის შტაბის წევრი, პარლამენტის სოც.-დემ. ფრაქციის წევრი და მუშა თფილისის ტრამვაისა. ასეთი იყო მოკლეთ მისი «საზოგადოებრივი მდგომარეობა». მაგრამ საჭირო იყო სანდროს პირადი გაცნობა, რომ წარმოგედგინა მისი პიროვნება. მე მას ვიცნობ 1905 წლიდან, ერთი წელიწადი მეტეხის ციხეში გავატარე მასთან, ორი კვირა ეტაფით ვიმოგზაურე. ეს იყო 1908—1909 წელს. შემდეგ მას ისევ შევხვდი თფილისში 1913 წელს. იმ დღიდან დაწყებული დღემდის მთელი ცამეტი წლის განმავლობაში, ის ისევ ძველი სანდრო იყო, გაბედული, პირდაპიო, საერთო საქმისათვის თავდადებული და გამჭრიახი გონების პატრონი. 1910 წელს, როცა ის ვოლოგდის გუბერნიის უსტ-სისოლის მაზრაში ადმინისტრატიულ სასჯელს იხდიდა, ერთ ღამეს მას თავს დაესხენ ველური ზირიანები, რამდენიმე ალაგას მძიმეთ დასჭრეს, ტანისამოსი გახადეს და თოვლით დაფარულ ტრიალ მინდორზე დასტოვეს ნიშანწყალ მოკლებული. მკვდარი ეგონათ და როცა სანდრო სიკვდილს გაუსხლტა ბრჭყალებიდან და ჯერ კიდევ ლოგინათ იწვა— ოხუნჯობით სავსე წერილით მამცნო ეს ამბავი. სანდრო ძლიერი ადამიანი იყო არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც, მისთვის არ არსებობდა დაღლილობის გრძნობა, მან არ იცოდა თუ რა იყო გულის გატეხა და სასოწარკვეთილება. ის იარაღით ხელში ებრძოდა აჯანყებულ ოსებს, დუშეთის მობალშევიკე ნაძირალებს და სადახლოს ყაჩაღებს. ბედი მუდამ სწყალობდა მას: ის ყველა ბრძოლიდან უვნებელი გამოდიოდა. ეს მან აღნიშნა მუშათა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, მაგრამ სანდრო არ იყო მარტო ფიზიკური მებრძოლი, ის შესამჩნევ ინტელიგენტურ ძალას წარმოადგენდა და საუცხოვო ორგანიზატორი იყო. მაგრამ ვიმეორებ ის შესანიშნავი ადამიანი იყო მით, რომ თვით უსამინელეს რეაქციის დროსაც არ დაუგდია ბრძოლის იარაღი და გულგატეხილობა არ გამოუჩენია. ის სომხეთის მუხანათურ თავდასხმის დროსაც ჩვენი დემოკრატიის მებრძოლთა პირველ რიგში უნდა ჩამდგარიყო და ჩადგა კიდეც. მან განახორციელა ვალიკო ჯუღელის განცხადება, რომელიც პარლამენტში იქნა გამოქვეყნებული, მაგრამ მას არ დასცალდა თფილისში ჩამოეტანა გამარჯვების წითელი დროშა. სანდრო მოკვდა და ჩვენ გვიანდერძა მისი საყვარელ საქმისთვის ბრძოლა. კურთხეულ იყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დედა, რომელმაც მას ძუძუ აწოვა. სანდროს ხსოვნა წაუშლელი დარჩება საქართველოს დემოკრატიის წრეებში. მადლიერი ქართველი ერი ვერ დაივიწყებს სანდროს ღვაწლს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო.

(«ერთობა»).

## თფილისი, 22 დეკემბერი.

ეკატერინეფელდთან ბრძოლაში დაიღუპა სანდრო მაისურაძე. მასთან ერთათ დაიღუპენ არა ერთი და ორი მისი ამხანაგი გვარდიელები, ბევრნი ბრძოლის ველიდან მტრის ხიშტებით და ტყვიებით დასახიჩრებულნი დაბრუნდენ. პირველი მსხვერპლი უკვე გაიღო სამშობლოსათვის საქართველოს პროლეტარიატის რაზმმა, პირველნი მსხვერპლნი, საყვარელნი მსხვერპლნი! რამდენი იქნება კიდევ მომავალში? დაღუპულთა გვამებზე—მათ მიერ სისხლით მორწყულ მიწაზე, ფრიალებს წითელი დროშა საერთაშორისო პროლეტარიატისა. ამ დროშის ქვეშ დაარსდა წითელი გვარდია, ამ დროშის ქვეშ ის ეწეოდა ბრძოლას მტრების წინააღმდეგ, ამ დროშის ქვეშ იღუპებოდენ გვარდიის მებრძოლნი—ანარქიის ჩაქრობის დროს, და მის ქვეშ იღუპებიან ეხლაც საუკეთესო ჩვენი ამხანაგები, სამშობლომ და საქართველოს თავისუფლებამ კვლავ მოუწოდა პროლეტარიატს საზღვრებისაკენ. საქართველოს პროლეტარიატი იცავს რა თავისუფლებას, უშიშრად და შეუდრეკელათ ეგებება სიკვდილს იმავე იდეებისათვის, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა.

წითელი დროშა პროლეტარიატისა!..

დეე დაინახონ მათ, ვინც გაიძახოდა რომ წითელი დროშა სიმბოლოა სამშობლოს უარისყოფის, როგორ კვდებიან ამ დროშის ქვეშ სამშობლოს მიწა წყლისათვის, მის თავისუფლებისათვის და საქართველოს პროლეტარიატის ნამუსისათვის.

სამშობლოს სიყვარული!..

და, ყველამ, ვინც იძახდა, რომ სამშობლოს სიყვარული მოაქვს მუშათა საერთაშორისო დიად პრინციპების დავიწყებას, დაინახონ, რომ საქართველოს სახალხო გვარდიელთა დაღუპულ გვამებზე ამაყათ ფრიალებს საერთაშორისო დროშა ყველა ქვეყნების მშრომელთა.

იღუპებიან სამშობლოსათვის, რადგანაც მის ღირსებას, მის თავისუფლებას შთანთქვას უპირებენ ისინი, ვინც მუხანათურად

Тбилисская Библиотека
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარები მოაყენა რესპუბლიკის საზღვრებს. იღუპებიან ინტერნაციონალურ ძმობის წმინდა იდეიისათვის. რადგანაც ამ ომში საქართველო, იცავს რა თავის თავს, იგი ამით იცავს სამართლიანობის პრინციპს, იბრძვის, რომ მიეცეთ ხალხთ უფლება მშვიდობიან გზით მოაგვარონ სადაო საკითხები და არა სისხლის ღვრით. საქართველო იბრძვის მათ წინააღმდეგ ვინც სცდილობდა ამიერ-კავკასიის ხალხებს-შორის შუღლის ჩამოგდებას, იგი იბრძვის, რომ მომავალში დამყარდეს ძმობა ამ ხალხებს შორის.

სამშობლო და თავისუფლება. სამშობლო და საერთაშორისო სამართლიანობა. ეს სიტყვები, და იდეები აღფრთოვანებას უმატებდენ ჩვენ სამშობლოს შვილებს ბრძოლაში, თავს სდებენ რა ბრძოლაში, მათ სწამთ, რომ სამშობლოს საქმე, მისი დაცვა მისი ღირსება და მის თავისუფლებისათვის ბრძოლა—არის დემოკრატიის საქმისთვის ბრძოლა—არის ბრძოლა მუშათა კლასის საბოლოვო მიზნისათვის. ამ რწმენით ისინი იღუპებოდენ ბრძოლის ველზე. ამავე რწმენით წავლენ ბრძოლის ველზე სხვა მებრძოლნიც. ეს რწმენა ჩვენი გამარჯვების თავდებია, ამაში გამოსჩანს ჩვენი დემოკრატიის ძალა. სამშობლოსათვის ბრძოლა არ გვაქვს წარმოდგენილი, როგორც სხვისი დამონება, არამედ ჩვენ გვესმის ის, როგორც ბრძოლა სამართლიანობისათვის, დემოკრატიისათვის სამშობლო არის სიმბოლო არა კაციჭამიაობისა—არამედ იგი სიმბოლო არის თავისუფლების. დაიღვარა მებრძოლთა წმინდა სისხლი, დასდეს მათ თავი სამშობლოს სამსხვერპლოზე. ახალი მსხვერპლი გაიღო ჩვენმა პროლეტარიატმა, სამშობლო მიწის და თავისუფლებისათვის. საუკუნო ხსენება და უკვდავი სახელი ომში დაცემულთ, და ჩვენის მხრით მათთვის მადლობის გადახდა იქნება ის, რომ ის დროშა—რომლისათვისაც ისინი დაიღუპენ, ხელიდან არ გაუშვათ. საუკუნო ხსენება გმირულათ დაღუპულთ.

(ბორბა. კვირა 22 დეკ. 18 წ.)

## ამხ. სანდრო მაისურაძე

გმირულად, როგორც ნამდვილი შვილი თავის ხალხისა დაეცა ბრძოლის ველზე ამხ. სანდრო. სულიერად ძლიერი, ბუნებით უშიშარი, დაბადებით დემოკრატი, ის უშიშრად გაემურა იქით, საიდანაც მოსალოდნელი იყო საფრთხე, და «ბოროტმა ჯურღმულმა» ძმათა სისხლის ღვრისამ შთანთქა იგი. ტკბილი და სასიამოვნოა სამშობლოსათვის სიკვდილიო, ამბობდენ ძველად. ძნელი და აუტანე-

ლია გადატანა ცოცხლებისათვის საუკეთესო ამხანაგების დაღუპვის. და ეს სიმძიმე მით უფრო აუტანელი ხდება, რომ გრძობ ამ შეტა-კების დამღუპველობას. რაღაც საშინელი ბედი თან გვდევს ჩვენ. როდესაც მთელი მსოფლიო იღვიძებს იმ საშინელ ოთხი წლის უკუ-ნეთი ღამის შემდეგ, ჩვენ ხელახლად ჩავებით ომის ქარტეხილში და ვკარგავთ საუკეთესო ადამიანებს.

მე არ ვიზიარებდი ზოგიერთ შეხედულებებს ამხ. სანდროსას, მაგრამ მე მქონდა მასთან საქმე, როგორც კეთილშობილ მოწინააღ-მდეგესთან, ნამდვილ დემოკრატთან, რომელიც იცავდა რა თავის აზრებს, სხვებისა პატივსა სცემდა. ეხლაც კი გაისმის ჩემს ყურებში მისი ხმა, მისი სიტყვა, რომელიც სთქვა მან ამას წინათ კამათის დროს, და გული საშინლად ღონდება, რომ ის აღარ არის. ჩვენ დავკარგეთ მშვენიერი ამხანაგი. ჩვენ მივეცით მიწას ის, ვისაც ჯერ ბევრი სიკეთის მოტანა შეეძლო მუშებისთვის. გვირგვინის ბადლად, უდროვო სამარესთან მოგვაქვს გული აღვსილი სიყვარულით დაკარ-გულ ამხანაგისადმი და სიძულვილით იმ დაუნდობელ ბედისადმი, რომელმაც ხელიდან გამოგვტაცა იგი. სამგლოვიარო სიტყვის მაგივ-რად დაე გაისმას ერთი სიტყვა მათ მიმართ ვინც ხელთ ხმალი აი-ღო: «შესდექით».

(სოც.-დემ. რუსეთელ.).

—

ბურუსიანი დღეა; ხანგამოშვებით თოვს, სიცივეა, ქუჩებში ტალახია. რკინის გზის ეკლესიასთან მრავალ ხალხს მოუყრია თავი. მახლობელი ქუჩები ხალხით სავსეა. სამგლოვიარო პროცესიის წინ მთელი ზღვაა წითელ დროშების და გვირგვინების მუშათა ორგანი-ზაციებიდან. ქუჩების ორივე მხრივ მწკრივათ სდგანან გვარდიელები და მილიციელები. გამოჩნდა პირველი კუბო. მასში სანდრო მაისუ-რაძე ასვენია, სახე არ აქვს შეცვლილი. სახეზე მკრთალი ღიმილი შერჩენია, ეტყობა დაჭრისათანავე გარდაცვლილა. მას მოყვება სხვა კუბოები. ზოგიერთს სახე ძლიერ შეცვლილი აქვთ. ზოგს ხიშტებით ჭრილობები ემჩნევა სახეზე. სამგლოვიარო პროცესიას წინ მიყვება სამხედრო ორკესტრი, გვარდია და მილიცია. უკან მისდევს თფი-ლისის პროლეტარიატი. კუბოს მიასვენებენ მუშები—გათხუპნილ ხა-ლათებში არიან—ეტყობათ პირდაპირ ქარხნებიდან წამოსულან. სა-სიამოვნოა, რომ ამ ხალხს, რომლებიც მზად არიან ასევე დასდონ თავი მაღალ იდეალებისათვის, არ ეტყობათ გაბოროტება და გამხე ცება—რომელიც უხშობს ადამიანს გონებას—მათში ომს ჩვეულებ-რივად ეს არ გამოუწვევია. პროცესია ნაძალადევისაკენ გაემართა.

გზა და გზა მათ აუარებელი ხალხი ემატებათ. ნაძალადევის მთელი მუშათა კლასი აცილებს თავის საყვარელ მებრძოლთ. მათ მიასვენებენ იქ, სადაც მეფის ჯალათებთან ბრძოლის დროს 1905 წელს გმირულათ დაიღუპა 9 მუშა. იქ, ნაძალადევის მთაზე, ამოთხრილია საძმო სასაფლაო ომის პირველ მსხვერპლთათვის, ახალ გმირ მუშებისათვის, რომელთაც ისევე შესწირეს თავი, როგორც იმ ცხრა მუშამ, ხალხთა სოლიდარობას და დემოკრატიის იდეალებს. საძმო სასაფლაოზე საქართველოს პარლამენტის სახელით სიტყვას ამბობს ნ. ჩხეიძე. საქართველოს მთავრობის სახელით ნ. რამიშვილი. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის სახელით სიტყვას ამბობს აუშტროვი, რომელიც აღნიშნავს სანდრო მაისურაძის ღვაწლს სახალხო გვარდიის წინაშე, გვიან, საღამოს ხალხი ნელ-ნელა იშლება. თავჩაქინდრული მიდის და თან მიაქვს სიყვარული დასაფლავებული გმირების. («ბორბა»).

ძმათა სასაფლაო.

## 19 დეკემბერი

(კორესპ. ბრძოლის ველიდან)

დილით გვაცნობეს, რომ მოასვენებენ სანდრო მაისურაძის და 24 მის საუკეთესო ამხანაგების გვამებს. საღამოს 9 საათზე მოვიდენ ავტომობილები. წინა ავტომობილში დაჭრილები არიან მოთავსებულნი—17 კაცი. ბევრი მათ შორის გვარდიის ცხენოსანთა დივი-

ზიონიდან არიან. ცხენოსანთა დივიზიონმა დიდი სიმამაცე გამოიჩინა. სომხები შემოიჭრენ ჩვენს ბატარეიაში იმ დროს, როცა მოდა-ოაჯე რაზმი დივიზიონის, რომელიც იცავდა ბატარეიას მთლად ამოწყვეტილ იქმნა. სომხებს დიდი ზარალი მოუვიდათ. მოვიდა საბარგო ავტომობილი, რომლითაც მოასვენეს დახოცილთა გვამები. მათ შორის სანდრო მაისურაძე, ოფიც. ბაქრაძე და გეგელია, სტუდენტი მ. დავითაშვილი და სხვ. ამხ. დგებუაძე საკვირველად გადარჩა. მის ქურქში ტყვიას გაუვლია. ჩამოასვენეს ავტომობილიდან სანდროს გვამი. გვარდიელებს ცრემლები ადგათ თვალებზე. მათზე უკეთ ვინ იცოდა რა იყო გვარდიისათვის სანდრო მაისურაძე? 21-ს თფილისში ჩამოასვენებენ მათ. ამ დროს კი მათი ამხანაგები აქ განაგრძობენ დაწყებულ საქმეს.

**მ. გლინსკი** («ბორბა» სანდარი 20 დეკ.)

## სამგლოვიარო წერილები და დეპეშები

ბატარეია აღჭურვილი ოკინისებური ნების ყოფით და რევოლიუციონური შურისძიებით დასტირის დაუფასებელ დანაკლისს. ჩაჭრა ემბლემა რევოლიუციონურ სინიდისის, რევოლიუციონურ თავდადების. სისხლი იყინება, ჩვენ გონებას ვერ შეუთვისებია ის სამინელება, რომელიც სანდროს დაკარგვით გვეწვია. ჩვენ ვდუმვართ. ჩვენი მწუხარება ენით გამოუთქმელია და მხოლოდ ყუმბარების ხმა, რომელსაც ჩვენ უგზავნით მოწინააღმდეგე ბანაკს—მოწმობს ჩვენს აღშფოთებას.

ბატარეის დავალებით **სევასტიან წულაია, ნიკოლოზ ელიაშვილი და კაპიტანი იმნაძე.**

—

ბევრმა ამხანაგმა თავი შესწირა საქართველოს რესპუბლიკას. ეხლა დაიღუპა საუკეთესო ვარსკვლავი—სანდრო მაისურაძე. გამოვსთქვამთ ჩვენს მწუხარებას.

**სოფ. დევრინის მუშები:**

—

სოჭის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს სანდრო მაისურაძის დაღუპვის გამო.

**თავმჯდომარე ცვანგერი.**

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ამხ. სანდრო მაისურაძის ხსოვნას**

გმირულმა სიკვდილმა ამხ. სანდრო მაისურაძისამ, რომელიც იყო საუკეთესო მებრძოლი მუშათა კლასის იდეალებისათვის, თავზარი დასცა გორის სახალხო გვარდიის შტაბს. კიდევ ერთი მსხვერპლი ჩვენი დემოკრატიულ წყობილების სამსხვერპლოზე, ერთი დიდი დანაკლისი გვარდიისათვის. ჩვენ ავიტანთ ამ დანაკლისს. ის ხალხი, რომელმაც წარმოშობა ჩვენი გმირი სანდრო, არ მისცემს არავის უფლებას ფეხქვეშ გასთელონ მისი უფლებები. იგი (საქართველო) მაგალითის მაჩვენებელი იქნება მთელი მსოფლიოსათვის. ჩვენ დავკარგეთ ჩვენი დაუღალავი, ენერგიული, აქტიური მებრძოლი თავისუფლებისა, მონაწილე გვარდიის ყველა სამხედრო ოპერაციების. იმედი გვაქვს, რომ მასავით გმირულად შევწირავთ ჩვენს სიცოცხლეს რევოლიუციას და მუშათა კლასის ინტერესებს.

**მაჭავარიანი, მღებრიშვი, ქარცივაძე, ვარდიანი, გაბუნია.**

—

მთავარმა შტაბმა მიიღო შემდეგი დეპეშა: თქვენთან ერთად ვწუხვართ ჩვენთვის ძვირფას სანდრო მაისურაძის დაკარგვას. მოვიგონებთ მის საგმირო საქმეებს და კეთილ სახელს მოწინავე მებრძოლისა.

**გენ. კონიევი, მუხრან ხიჭოლავა.**

—

**ხაშური.** ხაშურის სახალხო გვარდიის შტაბი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდი მებრძოლის, რევოლიუციისთვის თავდადებულ სწორუპოვარ ამხანაგ სანდრო მაისურაძის ტრაგიკულად დაკარგვის გამო.

**ხაშურის შტაბი.**

—

**სამტრედია.** მწარედ დავსტირით სომხებთან შეტაკების დროს გმირულად დახოცილთ სანდრო მაისურაძეს და სხვა ამხანაგ გვარდიელებს. ეს მსხვერპლი გვიორკეცებს ენერგიას და მზად ვართ თავგანწირვით ვეკვეთოთ მტერს.

**გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ნინუა.**

—

**გორი.** 20 დეკემბერს, შეერთებული კრება მაზრის სახალხო გვარდიის შტაბისა, მაზრის კომისარიატისა, ეროობისა და ქალაქის მართველობათა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა გამოსთქვამს თავის ულრმეს მწუხარებას საუკეთესო ამხანაგის სანდრო მაისურაძის უდროოთ დაკარგვის გამო. ჩვენი მუშაობის დროს სანდრომ დაიმსახურა საერთო პატივისცემა, უაღრესი სიყვარული. სახალხო გვარდიის დანაკლისი მეტად საგრძნობია, პარტიამ დაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგა ნათელი გამომხატველი იდეის თავდავიწყებამდე მსახურებისა. დაღუპულის მაგალითი გმირულად დაცემისა ბრძოლის ველზე მტერთან ბრძოლაში, არა ერთსა და ორს აუნთებს გულს და გაიწვევს ბრძოლის ველზე მუხანათ მტრის წინააღმდეგ. მისი ხსენება საუკუნო იქნება ჩვენს შორის.

**შეერთებული კრების თავმჯდომარე.**

—

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

**ცხინვალიდან.** თუმცა საერთოდ ბევრი კარგი ამხანაგები შეეწირნენ საქართველოს რესპუბლიკას, რომლებისათვისაც მწარედ ვიყავით დამწუხრებული, მაგრამ უკანასკნელათ გაგვიქრა ლამპარი უძვირფასესი, სანდრო მაისურაძის დაკარგვამ სამუდამოთ დაგვამწუხუხრა.

**სოფელ დეკრისის მოწინავე მუშები.**

—

**ცხინვალიდან.** ცხინვალის რაიონის სოფლების წარმომადგენელთა ყრილობა დიდათ სწუხს თავის ერის საუკეთესო შვილის სანდრო მაისურაძის დაღუპვას, პატივს სცემს მის არა ჩვეულებრივ გმირობას და მოუწოდებს საქართველოს დამცველთ უანდერძოს სანდროსაგან თავდადება საზოგადოებისათვის ბრძოლაში.

—

**ცხინვალიდან.** კომისარიატის მოსამსახურეები მილიციონერები გულ დათუთქული გლოვობენ მასწავლებელის სანდრო მაისურაძის უდროვოთ გარდაცვალებას, რომელსაც ხელში ეჭირათ დემოკრატიის ლამპარი. მზათა ვართ სანდროს მაგალითით თავი შევწიროთ ვაჟკაცურათ დემოკრატიას და სამშობლოს, აღვადგინოთ ის სიმართლე რომელიც ფეხ ქვეშ გათელა საზიზღრათ მტერმა.

ცხინვალის რაიონის კომისარი **ვალიკო ბოცვაძე.**

—

**რკინის გზის რაიონის შტაბი.** ამხანაგო სანდრო, ჩვენი რკინის გზის რაიონის შტაბი გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას შენი უდროოდ დაკარგვის გამო ვინც შენთან ერთად დაეცა ბრძოლის ველზე. შტაბი მონაწილეა თქვენი ოჯახის ამხანაგების და მეგობრების მწუხარების. ბედნიერია ის ხალხი, ვინც ისეთ გმირებს წარმოშობს როგორც არის ეკატერინეფელდთან მებრძოლი გმირები. ბედნიერია ჩვენი სახალხო გვარდიელები, რომლებმაც სიცოცხლეშივე ვნახეთ იმის შედეგი რაც ამ ცოტა ხნის განმავლობაში ვაკეთეთ. ეს იყო თორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტი დეკემბრის დღეობა როცა ჩვენმა დემოკრატიამ თავის სახალხო გმირებს სიცოცხლეშივე შეუმკო თავი დაფნის გვირგვინით.

გწამდეს ძმაო სანდრო, რომ ჩვენს გულში შენ მარად იქნები და ჩვენ ერთად ნაცად გზას არ ულალატებთ.

ამხანაგი **მ. არველაძე.**

—

## ელენე მაისურაძეს.

გორის სახალხო გვარდიის სამაზრო შტაბი თანაგრძნობას გიცხადებს თქვენ, კაცობრიობის იდეალებისათვის თავდადებულ მებრძოლის ტრაღიკულად გარდაცვალების ნახევარი წლის შესრულების გამო. საერთო მწუხარების დღეს ძვირფას სანდროს დაკარგვის გამო, ამხანაგები, რომლებიც მასთან მუშაობდნენ, თქვენთან ერთად განიცდიან თქვენს მწუხარებას.

**გაბუნია, ვარდიანი, ჯანელიძე, ელურიძე, ქარცივაძე. მაჭავარიანი, მღებრიანი და მინაზარიანი.**

—

## თფილისის გვარდიის შტაბს ქუთაისიდან.

სახალხო გვარდიის ქუთაისის შტაბი და გვარდიელები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამხანაგის სანდრო მაისურაძის და ყველა ამხანაგ გვარდიელების დაკარგვის გამო, რომლებიც სამშობლოს შემოსეულ მტერთან ბრძოლაში გმირულად დაეცენ.

**შტაბი.**

## სანდრო მაისურაძის ხსოვნას.

ორმოცი დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც ბრძოლის ველზე დაეცა ამხ. სანდრო მაისურაძე. გავიდა 40 დღე რაც ჩვენ რაზმს გამოაკლდა ერთი საუკეთესო ამხანაგი. ერთი მედგარი მებრძოლთაგანი—დემოკრატიის საქმისათვის—მუშათა კლასის იდეალისათვის. ბრძოლის ველზე დაეცა იგი. ბრძოლისავე ველი იყო მისი ცხოვრება. ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო, რომ ჩაება სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. აქ მან ერთი უპირველესი ადგილთაგანი დაიკავა. თვით მუშამ—იცოდა რა მთელი მწუხარება და ტკივილები მუშათა კლასის—შესწირა მთელი თავის ძალღონე მუშათა კლასის იდეალებს. გამოსული იყო თვით ხალხის გულიდან—და ხალხსავე შეალია მთელი ძალღონე თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში. რეაქციის დროს მას თავისი სადარაჯო არ დაუტოვებია. იმ წლებშიაც კი, როდესაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო გვარდიის მეთაური შტაბი.

სუსტნი და სულმოკლენი საერთო საქმეს თავს ანებებდენ—სანდროს ამაყათ ეჭირა დროშა თავისუფლების. მან ყველას საქმით დაუმტკიცა, რომ მისთვის არ არსებობდა ჭმუნვა და შიში, და მან გზიდან დახევა არ იცოდა. მისი მუშაობა მხოლოდ ციხეებში ჯდომის დროს

შესწყდებოდა ხოლმე. გაათავებდა რა ციხეში ჯდომის გადას—სანდრო კვლავ უბრუნდებოდა თავის საქმეს და სრულიადაც არ უშინდებოდა მას, რომ კვლავ ციხეში ამოაყოფინებდენ თავს. აი ასეთი ადამიანი დაიღუპა გმირული სიკვდილით შემოსეულ რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი რევოლიუციის პირველ დღეებში ის საქართველოს პროლეტარიატს წინ მიუძღოდა. როდესაც რევოლიუციას საფრთხე მოელოდა, როდესაც რევოლიუციის მონაპოვარს აქ ჩვენში საფრთხეს უმზადებდა რეაქცია და ანარქია—სანდრო რამდენიმე ამხანაგებთან ერთად შეუდგა წითელი გვარდიის მოწყობას. არა ერთსა და ორ ბრძოლაში მიუღია მას მონაწილეობა, არა ერთხელ და ორჯერ მიუშვერია მას თავისი მკერდი მტრის ტყვიისათვის წითელ გვარდიასთან ერთათ. ის წავიდა საბრძოლველად უკანასკნელ ომში. პირველ რიგში მიდიოდა ის წინ იმ ბნელ მასის წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ რესპუბლიკას უქადდენ შთანთქვას—ავანტიურისტ დაშნაკელების მეოხებით. და იმ ბრძოლაში, სადაც მტერი მოულოდნელათ თავს დაესხა ჩვენი გვარდიის რაზმს და განადგურებას უპირებდა ჩვენ არტილერიას, სანდრო აღფრთოვანებდა საბრძოლველათ ამხანაგებს, ეკვეთა მტერს და დაეცა ტყვიით განგმირული. დაეცა სახელოვანი რევოლიუციის დარაჯი, მისი ბრძოლა სიცოცხლეში და სახელოვანი სიკვდილი ბრძოლის ველზე—იქნება სამუდამო გაკვეთილი ახალ მებრძოლთათვის, რომელთაც დაკისრებული აქვთ პროლეტარიატის იდეალების განხორციელება.

(«ბორბა». 29 იანვარი 1919 წ.)

## ეკატერინეფელდის ბრძოლა და ძმათა სასაფლაო.

ამ ექვსი თვის წინად, სახელდობრ,—22 დეკემბერს ღამით ეკატერინეფელდთან ბრძოლაში დაიღუპნენ ის გვარდიელები, რომლებიც ამ ჟამად თფილისში «ძმათა სასაფლაოზე» განისვენებენ...

ბევრი გვარდიელი, ჯარისკაცი და ოფიცერი შეეწირა თავისუფლებისთვის ბრძოლას, ბევრი გამოესალმა წუთისოფელს. ბევრი დასახიჩრდა და, როცა იგონებ საერთოდ ჩვენი ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არ შეიძლება ყველა ეს გმირები თვალწინ არ დაგიდგეთ, არ შეიძლება თქვენს ხსოვნაში თითეულ მათზე, თუ კი იცნობდით, ამ ბრძოლის რომელიმე მომენტმა არ გაგირბინოსთ.

თავისუფლებისათვის ბრძოლის ერთი საუკეთესო მომენტთაგანია ის მოგონება, რომელსაც გამოჰხატავს «ძმათა სასაფლაო».

ეს სასაფლაო რომელიც მთელ თფილისს ზევიდან დასცქერის, სადაც ფრიალებს წითელი დროშა, მოაგონებს თავისუფლების დამცველთ, თუ როგორ უნდა ბრძოლა, ხალხის სამსახურისთვის თავის დადება....

დღეს, ექვსი თვის თავის შესრულების გამო, მებრძოლნი მუხლმოდრეკილი მოიგონებენ ბრძოლის ველზე დაღუპულ ამხანაგებს.

ჩვენ განვაგრძობთ თქვენ მიერ დაწყებულ ბრძოლას,—აი როგორი იქნება მათი ჩაძახილი!.

სახალხო გვარდია, მისი შტაბი, რეგულიარული ჯარი—დიდი, პატარა, ქალი, კაცი,—განვაგრძობთ ძველებურათ თქვენის გზით სიარულს და შორს აღარ არის ის დრო, როცა ჩამოგძახებთ:

ჩვენ გავიმარჯვეთ!..

—

## სანდრო მაისურაძე.

დღეს შესრულდა ნახევარ წელიწადი, რაც ამხ. სანდრო მაისურაძემ დასდო თავი ბრძოლის ველზე სამშობლოს თავისუფლებისა და მუშათა კლასის საქმისათვის. ის დაეცა ეკატერინეფელდთან ბრძოლაში იმ დროს, როდესაც საქართველოს დემოკრატიამ იარაღი ხელში აიღო, რომ დაშნაკელების იერიშები მოეგერებინა. დღეს სანდროს სამარესთან შეიკრიბებიან ამხანაგები, რომ მოიგონონ ძვირფას მიცვალებულის ხსოვნა. ჩვენ გვსურს ამ დღეს მოვაგონოთ გაზ. «ბორბის» მკითხველებს სახელი სანდროსი—ამ ერთი საუკეთესო მებრძოლის საქართველოს დემოკრატიის იდეალებისათვის. სახალხო გვარდიის ერთი დამაარსებელთაგანის პატიოსანი სოციალისტის, რევოლუციის დაუღალავი მუშაკთაგანის. უშიშარი მხედარის—რომელმაც სახელოვნად დასდო თავი ბრძოლის ველზე.

**«ბორბა», 22 ივნისს 19 წელს № 136.**

—

## ე. პ. გეგეჭკორის სიტყვა.

(სანდროს სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი მუშათა მასსისა. თქვენი და დემოკრატიის ნდობით არის ის დაყენებული მართვა-გამგეობის სათავეში და ამ სიხარულისა და ამავე დროს მწუხარების დღეს ეს მთავრობა, ძვირფასო ამხანაგებო, არის თქვენ შორის და თქვენთან. სასიხარულოა ეს დღე ჩვენთვის ვინაიდან იგი არის მაჩვენებელი იმისა, რომ მძიმე განცდაში მყოფი პროლეტარიატი, მიუხედავად შეუწყვეტელ ბრძოლის სისხლიანი ატმოსფერისა, არ ივიწყებს,

რომ მხოლოდ კლასიური თვით-შეგნების განვითარებით, მუშათა წრეები ცოდნის შუქის შეტანით შეუძლია მას გაამაგროს და საბოლოოდ შეირჩინოს ბრძოლით აღებული პოზიციები. კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებანი, წიგნთ-საცავ-სამკითხველოები, სახალხო უნივერსიტეტები—აი ის ვრცელი ასპარეზი, სადაც უნდა განსახიერდეს მაქსიმალური ენერგია მუშათა ორგანიზაციებისა, რათა არ დარჩეს არც ერთი კუთხე, რომელიც არ იქნება მძლავრად გაშუქებული პროლეტარული მეცნიერებისა და ცოდნის სინათლით. და რესპუბლიკის მთავრობა ვალდებულია მიაპყროს და კიდეც მიაპყრობს ამ მუშაობას იმ ყურადღებას, რომლის ღირსიც ის არის.

იმ წიგნთ-საცავ-საშკითხველოს, რომელიც დღეს იხსნება, ჩვენთვის სხვა, უფრო ღრმა აზრი და მნიშვნელობაც აქვს. ის დაკავშირებულია ძვირფას **სანდრო მაისურაძის** ხსოვნასთან. ეს ღირს-შესანიშნავი დღე არის დღე ჩვენი მწუხარებისა. სანდრო მაისურაძე როგორც კაცობრიობის საუკეთესო იდეალებისათვის მებრძოლი გმირი. დაეცა ბრძოლის ველზე, მან შესწირა სიცოცხლე ჩვენი დემოკრატიისა და რესპუბლიკის თავისუფლებას. დე. ნურავის შეაკრთობს ის გარემოება, რომ **სანდრო** დაიღუპა სომეხ-ქართველთა შეტაკების დროს. წყევა-კრულვა მათ, ვინც გამოიწვია ორ მოძმე ერთა შორის ეს საშინელი კონფლიქტი, რომელმაც ორივე მხარეს გააღებინა დიდძალი მსხვერპლი სისხლით და ქონებით, მოავალ მხრივია ცხოვრება და რთულია მისი სახე. ყოველი მომენტის, ყოველი მოვლენის სწორედ შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საერთო მდგომარეობისა და მომავალი პერსპექტივების თვალ-საზრისით. ვის შეუვა ახლა ეჭვი იმაში, რომ ბორჩალოს ველზე ისეთ გმირთა სისხლი, როგორიც იყო სანდრო, რომ არ დაღვრილიყო, ჩვენი რესპუბლიკა და თავისუფლება ახლა განადგურებული აო იქნებოდა და ჩვენი რევოლიუციონური შემოქმედება დიდი ხნით არ იქნებოდა დასამარებული?.

სანდრო დაიღუპა მაგრამ არასოდეს არ დაიღუპება ის იდეა, რომელსაც შეეწირა ასეთი მსხვერპლი! იდეა ხალხთა ძმობისა და სოციალიზმის საბეფოს სრული გამარჯვებისა. მოკრძალებით მუხლს ვიყრი გმირთა ხსოვნის წინაშე. ჩვენ განვაგრძოგთ შეერთებული ძალით დაწყებულ ბრძოლას და არ შეუშინდებით იმ მძიმე მსხვერპლს, რომლის გაღება აუცილებელი იქნება ამ მძიმე და ეკლიან გზაზე. (მხურვალე ტაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანდრო მაისურაძე

დამონებული უბედური ერის შვილი ვიყავი და ამიტომ განსაკუთრებულათ იზიდავდა ჩემს ფიქრსა და აღელვებდა ჩემს გულს ჩვენი ბედი, ჩვენი ხალხის მომავალი.

ერის კეთილ დღეობის აუცილებელ პირობათ მე მიმაჩნდა ეროვნული თავისუფლება.

და როდესაც ოცნება თავის ფრთებზე შემიჯენდა და შორს, შორს გამიტაცებდა, თვალ წინ მეხატებოდა თავისუფალი, აყვავებული საქართველო, განათლებული, ცოდნითა და ქონებით მდიდარი, ბედნიერი ქართველი ერი.

ფრთებს უკვეცს აღმაფრენას ამბავი ყოველ დღიური.

ჩემს აღმაფრენასაც ერთი გარემეობა აკვეცდა ფრთებს.

ერის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ მუშა ხალხის ბრძოლით; ჩვენ.ა მუშები კი ეროვნული თავისუფლებისათვის არ იბრძოლებდენ.

ასე მეგონა და ეს ფიქრი ზრდიდა სევდას გულისას.

ასე ეგონა სხვასაც ბევრს, მაგრამ ჩვენმა მუშა ხალხმა ჯერ თავისი დინჯი გადაწყვეტილებით, შემდეგ თვისი წმინდა სისხლით დამტკიცა, რომ მას არა თუ ბრძოლა შეუძლია სამშობლოს თავისუფლებისათვის. მას ამ თავისუფლების მოპოებისათვის შესწევს ძალღონე.

საშინელი წამები იყო. ჩვენმა მუშა ხალხმა სრული სიდინჯით ასწონ-დასწონა მომენტი, იგრძნო მთელი პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე და განაცხადა:

ამიერიდან საქართველო თავისუფალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკა არისო.

ნორჩი რესპუბლიკა უჯაროთ! მტერს უხაროდა, ჩვენ კი სევდას ვმალავდით.

მუშებმა აისხეს იარაღი და გაჩნდა ჩვენი გვარდია.

თავისუფალი საქართველო წარმოუდგენელია უგვარდიოთ.

დამოუკიდებელი სამშობლო და გვარდია, გვარდია და სამშობლო—განუყრელი, განუშორებელია.

მე კიდევ უფრო შემიყვარდა ჩვენი მუშათა კლასი. ჩემს საუკეთესო ფიქრს, და წმინდა გძნობასა და სიყვარულს ვსწირავ მას. სანამ პირში სული მიდგია:

გვარდია მუშათა კლასის ნაწილია და, როდესაც ჩვენი გადარჩენა არავითარ ძალას არ შეეძლო, ჩვენი ხსნა გვარდიამ იდვა თავს და გვიხსნა კიდეც.

მე არ მინდა ჯარს გვერდი ავუხვიო. დღეს ჩვენს თავისუფლებას ერთგული დარაჯი ჰყავს რესპუბლიკის ნორჩ ჯარში, საგანგებ ამ ჯარის შექმნის საშუალებაც მთავრობას გვარდიამ მისცა.

გვარდიამ ჩააქრო შინაური ანარქია და შექმნა აუცილებელი პირობები ჯარის მოსაწყობათ.

ჩვენი თავისუფლების ისტორიაში გვარდიამ ჩასწერა საუკეთესო ფურცლები და ამ ფურცლებში არის ერთი განსაკუთრებით დიადი, განსაკუთრებით წმინდა, სპეტაკი, მიუწდომელათ კეთილშობილი, ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელი და სულის ამმაღლებელი.

ამ ფურცელს რომ გადაშლით, მზათ ხართ დაიჩოქოთ და ცრემლებათ დადნეთ: ამ ცრემლებშია აღტაცება, სიყვარული, მადლიერება, თაყვანისცემა და უზომო სევდა.

ეს უკვდავი ფურცელი ეკუთვნის უკვდავ სანდრო მაისურაძეს, ჩვენი გვარდიის სიამაყეს, ჩვენი ერის დიდებას.

ქართველი ერი ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა, ის ფიქრთა ბურუსშია ჯერ გახვეული.

და როდესაც ჩვენი თავისუფლების ცა სრულებით მოიწმინდება და გასპეტაკდება, ჩვენი ხალხი მხოლოდ მაშინ იგრძნობს მთელი თავისი არსებით სიყვარულს და მადლიერებას სანდროსადმი.

რა ჰქნა მაინცა და მაინც სანდრო მაისურაძემ ასეთი?

მოკვდა ბრძოლის ველზე ისე, როგორც მრავალი სხვა დახოცილა! იტყვის ზოგიერთი გარეშე.

რა ჰქნა სანდრომ?

მან გადაარჩინა ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მან იხსნა ჩვენი ერი დამცირებისა და სირცხვილისაგან.

მან შეგნებულათ მიიტანა თავისი თავი ზვარაკად სამშობლოს სამსხვერპლოზე და ისეთ პირობებში იკისრა სამშობლოს ღირსების, სახელის, თავმოყვარეობისა და მომავალის დაცვა, როგორშიაც ზეკაცი კი შედრკებოდა და იარაღს დაყრიდა. მე არ შეუდგები იმ ეპიზოდის აღწერას. სირცხვილიც კი აქვს, რომ ის არ იცოდეს ყოველმა ქართველმა, ვისაც კი გულის სიმებზე თავისი ერის აღდგენა ოდნავ მაინც დაუმღერებია.

ჩემთვის ცხადია: სანდროს რომ თავისი თავი არ გაეწირა, ჩვენ ეროვნულათ დღეს მკვდარი ვიქნებოდით. სანდრო მაისურაძე მოკვდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელის, ღირსების, არსებობისა და დიდებისათვის.

დიდება ქართველი ერის ეროვნულ გმირს!

**ივ. გომართელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ს. მაიხურაძე ლაზარეთში.

## მცირე მოგონება

სამშობლოსა და დემოკრატიისათვის თავგანწირულს სანდროს მე დაახლოვებით არ ვიცნობდი. პირველად შევხვდი და გავიცანი, როცა ძველი ჩვენი ეროვნული საბჭო საქართველოს ეროვნულ ყრი-

ლობისათვის ემზადებოდა. სექციებში გაცხარებული მუშაობა იყო ჩვენს სექციაში—პოლიტიკურში—სანდროც იღებდა მონაწილეობას. მახსოვს ჩვენი შეტაკება პლატფორმის შემუშავების დროს. ს.-დემოკრატების ფრაქციის მიერ შემუშავებულ პროექტში იყო მუხლი იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატია და, საერთოდ, საქართველოს ერი კვლავ რჩება რუსეთის ორიენტაციის მომხრედაო. ჩვენ, ს.-ფედერალისტები, საჭიროდ არ ვთვლიდით ამ მუხლის შეტანას პოლიტიკურს პლატფორმაში. სანდრო გაცხარებით იცავდა ორიენტაციის მუხლს. საინტერესო იყო მისი არგუმენტაცია. სანდროს სწამდა და სწყუროდა სამშობლოს თავისუფლება, მაგრამ ამბობდა, ეს თავისუფლება მოგვცა რუსეთის დიდმა რევოლიუციამ და ამავე რევოლიუციის განვითარების პროცესში ვპოვებთ ჩვენც ჩვენი ქვეყნის თავისუფლების განმტკიცებასაო... ამიტომ ის არ აშორებდა რუსეთზე ორიენტაციას რევოლიუციაზე ორიენტაციისაგან...

განსვენებულმა დაამტკიცა კიდეც თავისი სიყვარული სამშობლოსა და რევოლიუციისადმი: თავი თვისი შესწირა დიად საქმეს და გმირულად დაიღუპა ბრძოლის ველზე სამშობლოსა და რევოლიუციის მონაპოვართა დაცვისათვის.

უკანასკნელად ვნახე იგი, როცა თვალწინ გადამეშალა საზარელი სურათი—ორმოცამდე კუბო თავგანწირულ გმირთა. სანდროს კუბოც მათ შორის იყო. ენერგიით სავსე, თავის გრძნობებითა და სულით ახალგაზრდა სანდრო მაისურაძე სამშობლო მიწას მიაბარეს სხვა სახელოვან გმირებთან ერთად, ძმურს სასაფლაოზე...

დიდება მის შრწყინვალე ხსოვნას!

ვ. ლასხიშვილი.

## ქართველი ინტელიგენციის ტრაგედია

იმ საშინელმა ქარტეხილმა, რომელიც შოულ ქვეყნიერებაშიც და ჩვენშიც ბობოქრობს ეს უკვე რამდენიმე წელიწადია, ბევრი ტრადიცია დაარღვია, ბევრი ჩვეულებები დაამსხვრია და ბევრ საფასურს დაუკარგა ყოველივე ფასი.

ის იდეალებიც კი, რომელსაც დემოკრატიის ხელმძღვანელი ინტელიგენცია ეთაყვანებოდა მრავალი წლების განმავლობაში, დიდ განსაცდელში ჩაცვივდნენ.

არეულმა ქვეყანამ ზღვის ძირიდან მრავალ ძვირფას მარგალიტებთან ერთად მრავალი სიმპლეც ამოაგდო ცხოვრების ზედაპირზე ზოოლოგიური ნაციონალიზმი, ეგოისტური მისწრაფება გამდიდრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისადმი სპეკულიაციის საშუალებით—ეს ყველა თანამედროვე არეგ-
დარევის ხელის შემწყობია.

ამან ურთიერთობა გაართულა, დაჩრდილა ბრწყინვალე იდეა-
ლები და ხალხის თვალთაგან ბურუსი მოახვია მას. წმიდა იდეალი
ქვენა გრძნობების ალში გაეხვა და ხშირად თავის იდეალების დასა-
ცავად ინტელიგენტ-დემოკრატს სჭირდება არაჩვეულებრივი ბრძო-
ლა. ხშირად მახვილით ხელში და არა თავის ჩვეულებრივი მტრის—
ბურჟუაზიისა და თვითმპყრობელობის—წინააღმდეგ, ხშირად თვით
იმ დემოკრატიის წინააღმდეგაც კი, რომელიც თავისი სოციალური
მდგომარეობით დემოკრატიულ იდეალების მომხრე და დემოკრა-
ტიულ ინტელიგენციის ზრუნვის ობიექტი უნდა იყოს—ნამდვილად
კი ჰაერში დატრიალებულ ქვენაგრძნობათა ბობოქრობაში თვალებ-
ახვეული, თვით ამ დემოკრატიული იდეალების წინააღმდეგ გამოდის.

აქ გაინასკვა ძარღვი ქართველ ინტელიგენციის სულიერი ტრა-
გედიისა.

მაგრამ ყველაზედ დიდი ტრაგედია მისთვის იყო სომეხ-ქარ-
თველთა ომი, რომელმაც ბევრ ნამდვილ დემოკრატ ინტელიგენტს
ამოალებინა მახვილი არაჩვეულებრივ პირობებში, სომეხთა ერის წი-
ნააღმდეგ. რა საშინელი სულიერი ტანჯვა უნდა განეცადა ყოველ
დემოკრატ-ინტელიგენტს, რომელსაც ამ უბადრუკი ომის დროს ხა-
ლხის ხელმძღვანელობა არგუნა წილად. და მაშასადამე მახვილით
ხელში უნდა დაეცვა იგი ყოველი მტერის წინააღმდეგ, თუნდაც
უნებლიე მტერი ყოფილიყო იგი.

ერთი ამ ინტელიგენტთაგანი იყო განსვენებული სანდრო მაი-
სურაძე. მისი ამხანაგების და მახლობლების სიტყვით ის იყო სწო-
რედ იმ გულწრფელ ქართველ ინტელიგენტთაგანი, რომელსაც ყო-
ველთვის მტკიცედ სწამდა იდეალი ხალხთა სოლიდარობისა, ძმო-
ბისა და ერთობისა, მაგრამ რევოლიუციონური ქარტეხილი არ ჰგვა-
ნებია ალერსიან სიოს. მისი ხელი მძიმეა და მუხრუჭი ულმობელი.
აი დაამსხვრია მან პირველი იმედი ჩვენი—იმედი ამიერ-კავკასიის
ერების ერთად ძმურად ცხოვრებისა და გადასდო ამ საკითხის გან-
ხორციელება შორეულ მომავლისათვის.

მაგრამ ეს მძიმე განსაცდელი არ აკმარა მან სანდრო მაისურა-
ძეს და მშრომელი ხალხის ხელმძღვანელ ინტელიგენციას.

რალაც გარდუვალი ისტორიული თუ ფსიხოლოგიური კანონი
ულმობელი და სასტიკი, უარეს განსაცდელს გვიმზადებდა.

იმან მახვილით აამხედრა ერთი მეზობელი ერი მეორის წინა-
ააღმდეგ და იმ დროს, როდესაც თბილისის დემოკრატიამ თითქოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობიანობა დაამყარა თავის გავლენის ფარგალში და ფიქრობდა უკვე საალმშენებლო მუშაობას შესდგომოდა.

ჩვეულებრივი იარაღი, იარაღი ექიმისა და არა მეომრისა, იარაღი, რომელიც თვალზე ბინდ-გადაფარებულს თვალებს აუხილავს, აქ აღარ გამოდგებოდა. მახვილი უკვე ამართული იყო და იგი თვალის დახამხამებაზე დაეშვებოდა დემოკრატიის კისერზე და წარიხოცებოდა ყველა გაწეული შრომა, წარიხოცებოდა იდეალი და სიცოცხლის ნატამალი.

დრო აღარ იყო. ხმალს მხოლოდ ხმალიდღა მოიგერიებდა.

და მოიგერია...

მაგრამ ეს ომი საშინელ სიზმარივით დარჩება ჩვენ ხსოვნაში და ჩვენი ხსოვნიდან არაოდეს არ ამოიფხვრება, სულის მშვიდობას დაგვირღვევს და მოგვიწამლავს ყოველსავე სიხარულს. ბედნიერი დარჩება მხოლოდ ის, ვინც ამ ომში გმირულად დაღვარა სისხლი და სიკვდილი არჩია სიცოცხლეს. სულიერი ტანჯვა მისი გათავდა, სისხლმა კი შეისყიდა იძულებითი გალაშქრება იმის წინაალმდეგ, ვის წინაალმდეგაც ის სხვა პირობებში ხმალს არ ამოიღებდა.

ბედნიერია სანდრო მაისურაძეც, რომელმაც გმირულად გაათავა თავისი სიცოცხლე. გმირულად არა იმიტომ, რომ მან ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარა, არამედ უფრო იმიტომ, რომ მან ვერ შესძლო დემოკრატიას ციხე-ბურჯად არ დასდგომოდა წინ, თუნდაც თავის სულის სიმშვიდის ფასით.

მისი ხსოვნა დარჩება ერში, როგორც ქართველი დემოკრატიულ ინტელლიგენციის იდეალების და სულიერ ტანჯვის განმასახიერებელი გმირისა.

მოვა დრო და ისტორიკოსი სიყვარულით და მოწიწებით გაჩერდება მის პიროვნებაზე და საშვილიშვილოდ გადასცემს მის ხსოვნას ერის მომავალ თაობას.

**გ. ნათაძე.**

## ზღაპარი თავ-ბანწირულებისა.

(სანდრო მაისურაძის ხსოვნას).

გინდათ, მეგობრებო, ლამაზი, მომხიბლავი და მასთან კეშნიანი ზღაპარი, რომელიც სინამდვილეზე უპეშმარიტესია? მაშ ყური დამიგდეთ. ვიცნობდი ერთ ახალგაზრდა მუშა სანდრო მაისურაძეს, რომელიც ისე იყო გატაცებული მუშათა სანუკვარ თავისუფლებით, რომ მის მისაღწევად კაშკაშა ჩირაღდნად იყო ანთებული და ამოწვდილ ლახვრად აალმასებული... იგი ვეფხვის სიმძლავრე-გამბედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობით ილაშქრებდა და იმარჯვებდა წყვდიადს ღამეში მჭიდრავად შემოსეულს მტრებზე..

მტრის მთელი არმიაც რომ დაეპირისპინებინათ—არ შედრკებოდა, პირს არ იბრუნებდა, შემართებით შეჰხვდებოდა, მაგრამ... მაგრამ... ერთმა წუნკალის მუხანათურმა ტყვიამ გაუგმირა გული...

გმირობა, გმირობა, გმირობა—გმირობის ეპიზოდებით იყო დამშვენებული მისი ხან-მოკლე სიცოცხლე, მაგრამ რა საჭიროა, ეჰ, რა საჭიროა მათი აღნუსხვა, როდესაც იმას ისეც გვიაშკარავებს მუშათა სიყვარულის ყვავილებით შეკონილი გვირგვინები.

ხშირად დავფიქრებულვარ, რა აზრი აქვს ადამიანის სიცოცხლეს, როდესაც მისი ბოლო სამარეა მეთქი, მაგრამ კმაროდა გამეხსენა სანდროს ლამაზი ზღაპარი ხალხისთვის თავ-დადებაზე და მყის განიავდნებოდნენ ხოლმე შავი ფიქრები.

მე ვრწმუნდებოდი, რომ ღირს, ათასჯერ ღირს თუნდა მოწამებრივი სიცოცხლე, ოღონდ დაიმსახურო ასეთი წმინდა სიყვარული ხალხისა.

ის სიყვარულის ცეცხლი, რომლითაც აპრიალებული იყო სანდრო და რომელმაც სხვებსაც უკვესებდა გულში—ჩემშიაც გააჩაღა მან ამ 12—13 წლის წინეთ. მაშინ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი. ისეთივე იყო სანდრო. რეაქციის შავბნელი დღეები იყო. გაპარტახებულს ორგანიზაციებს ეჭირვებოდა ხელ-ახლა აღდგენა და ძალიან ჭირდა მომუშავეთა შოვნა... პროპაგანდისტ-ორგანიზატორებს განსაკუთრებით საჭიროებდნენ ქართლის განაპირა კუთხეები... ჯერ დღესაც ვერ მოგვივლია მათთვის ფარსაგად და აბა რა უნდა ყოფილიყო მაშინ... ერთი ასეთი გავერანებული კუთხე იყო ცხინვალის რაიონი, საცა სიცოცხლეს გამოასალმეს ამხ. მინდიაშვილი და მით უფრო გაძნელდა იქ მუშაობა.

აი ამ კუთხეში მუშაობა მხვდა მე მაშინ წილად.

მე სრულებით არა ვგრძნობდი იმ მუშაობის სიძნელეს, რომელიც მომელოდა იქ, მაგრამ გამგზავრებისას გამიმარტოვა ჩვენი ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრმა სანდრომ და მომცა დირექტივები.

რა მზრუნველობა, წინ-დახედულობა, სიმტკიცე და საქმის სიყვარული გამოსჭვიოდა მისი ლაპარაკიდან.

უსმენდი სანდროს და მიკვირდა: სად, როგორ მოასწრო მან სრულიად ახალგაზრდა მუშამ ასეთი გამოცდის შეძენა. რა ძალამ ჩაუდგა ეს დიადი სული თავისუფლების ზვარაკად გამზადებული.

იგი მარიგებდა დიდის სიფრთხილით მოვქცეულიყავი, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელში არ ჩავვარდნოდი ან ყაჩაღად გაცვივნილს ჩვენს ... ამ-
ხანაგებს, ან არა და პოლიციას.

გამოთხოვებისას სევდიანი თვალები მომაპყრო და მომშორდა... ვერ გადავივიწყებ მე იმ შემოხედვას ვერასოდეს, ვერასოდეს...

იმ მზერაში ვეზიარე მე და იმ შემოხედვამ დულაბად გადამაქცია გული და გამისალკვნდევა ნების ყოფა.

მისი სევდა წინადგრძნობა ყოფილიყო და, მართლაც ხუთი დღის შემდეგ მე ხელთ მიგდეს ყაჩაღებმა, ამიკრძალეს სოფლად ორგანიზაციების აღდგენა, ვიდრე არ ვაჩვენებდი იმ ადგილს, საცა მიმალული იყო ორგანიზაციის იარიღი...

დღე-დღეს მისდევდა და რაკი არა ვტყდებოდი არ მეშვებოდნ ნ... მახსოვს ერთხელ მთვარიან ღამეს მთის ქედზე ვიყავი შეზახორშებულს ყაჩაღებთათ და ვფიქრობდი, თუ რა ხერხით დამეხწია მათთვის თავი... უცბად მოვარდა ჩვენთან ერთი გლეხი და გვაცნობა, რომ ჩვენს შესაპყრობად მოემართება «სტრაჟნიკების» ცხენოსანი გუნდი... მცირე ხანის შემდეგ და მართლაც შორს მინდორზე გამოჩნდა მდევარი... აშკარა იყო ჩვენთან მობრძანდებოდნენ. ყაჩაღებს ოთხიოდე რევოლვერის მეტი არა ჰქონდათ და განრისხდნენ... მუქარა დამიწყეს... შენის გულისთვის ვცვივით განსაცდელში. შენ, რომ იარაღი გეჩვენებია მტერს უჩვენებდით სეირსაო... საშინელი წუთები განვიცადე. მე ვხედავდი რევოლვერის ლულას, საიდანაც გამოიცქირებოდა სიკვდილი და შევკრთი... შევკრთი, მაგრამ მაშინვე მომაგონდა სანდროს მტკიცე სიტყვები, წარმომიდგა უზომო სიყვარულით აკვესებული მისი თვალები და გავმხვევდი... საკადრისი პასუხი გავეცი... ჩვენი ნაამხანაგრები იყვენ ეს ყაჩაღები და ადვილად იქონია გავლენა მათზე ჩემმა მხილებამ და შერცხვენამ. მყის ადგილი ვინაცვლეთ და განსაცდელი ავიცდინეთ. მუშაობა შეუძლებელი გახდა რაკი პოლიციამ გაიგო იქ ყოფნა და თფილისს დაუბრუნდი...

ეს მოხდა ჩვენი ცხოვრების გარიჟრაჟისას... ვაგლახ, ძალიან მალე მოვესწარი სანდროს დღეთა მწუხრს, მალე წარიტაცა იგი სიკვდილის ქარმა...

ჩვენი პარლამენტის სოც.-დემოკრ. ფრაქციის სხდომა იყო. რომელიღაც დიდი კითხვა ირჩეოდა, ლაპარაკობდა ო. არსენიძე. უცბათ მოშხამულ მახვილსავით გაიზუზუნა საშინელ ამბავმა... სანდრო ომში მოგვიკლესო... ერთი მ"ანჯავი, უჩვეული მოძრაობა ყველა წევრებისა და შემდეგ დუმილი. ყრუ, სამარისებული დუმილი... პირს სიტყვა შეყინულ თავმჯდომარეს მდუღარე ცრემლმა მოუნისლა თვალები... მწუხარებამ გააქვავა მთელი ფრაქცია... რომ იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მტერი შემოვარდნილიყო დარბაზში, ვერავინ გაიგებდა, ხელ-ვერავინ გაანძრევდა... კაცს ეგონებოდა საუკუნის წინეთ გაქვავებ-ულა ეს ხალხი ამ დარბაზში და მწუხარების ქანდაკებად გადაქცეულა...

მალე ერთი წელიწადი შესრულდება სანდროს გარდაცვლის შემდეგ, მაგრამ ახლაც საკმარისია გაგვახსენდეს სანდროს ბედი, რომ გავფითრდეთ, განუსაზღვრელის მწუხარებით ჩავითუთქოთ და აკანკალებულის ხმით წარმოვსთქვათ: რად, ახ, რად დეგვეკარგა სან-დრო, რომელსაც პატარა, ძალიან პატარა გული ჰქონდა, მაგრამ უსაზომო, განუსაზღვრელი სიყვარულით კი იყო აპირთავებული.

გინდათ, მეგობრებო, ზღაპრები თავ-განწირულებისა? გამოი-ცანით სანდროს ცხოვრება და თქვენ გაიგებთ თუ როგორი გმირია საჭიროა კაცობრიობის შუქურა ოცნებით აელვერებულ ბედნიერების განსახოციელებლად.

**დ. თურდოსპირელი.**

## სანდრო მაისურაძის ხსოვნას.

მოჰკლეს სანდრო მაისურაძე! მოჰკლეს ბრძოლის ველზე. დე-მოკრატიულ საქართველოს ქონდა შემთხვევა უკანასკნელ დღეებში გაეცნო სანდრო მაისურაძე. ყველას თვალწინ ხდებოდა სახალხო გვარდიის საგმირო საქმეები,—დემოკრატიის მტრებთან ბრძოლა და ყველა ხედავდა მებრძოლ გვარდიის სათავეში დაუღალავ თავდადე-ბულ მებრძოლ სანდრო მაისურაძეს. დიახ, ყველა, ვინც კი დაინტე-რესებულია საქართველოს დემოკრატიის ბედით, თვალს ადევნებდა სანდროს მოღვაწეობას და ყურს უგდებდა და ისმენდა ამ დაუღა-ლავ რევოლიუციონერ-პროლეტარიატის დამარწმუნებელ სიტყვებს. მაგრამ ბევრმა არც კი იცის სანდრო მაისურაძის წარსული მოღვა-წეობა, ბევრმა არ იცის რა ძნელი გზა გაიარა ჩვეულებრივმა მუშა მაისურაძემ, რომ გამხდარიყო საქართველოს შეიარაღებულ პროლე-ტარიატის ბელადი და ერთი საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი ჩვენი სახალხო გვარდიის. 15 წლის წინათ სანდრო მაისურაძე იყო უბრა-ლო მუშა წყალსადენის. 1904 წელს ის, როგორც პოლიტიკურათ არა კეთილ საიმედო, დათხოვნილ იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოდან. ამ დროს ის იყო უკვე სოციალ-დემოკრა-ტიულ პარტიაში.

ამ ხნიდან ის მუშაობდა კერძო სახელოსნოებში და ამავე დროს ენერგიულ მონაწილეობას იღებდა პარტიულ ცხოვრებაში.

როდესაც მოეწყო პროფესიონალური საბჭო წყლის სადენი მი-ლების გამკეთებელ მუშების, ამხ. სანდრო აირჩეული იქნა ამ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის თავმჯდომარეთ. ის ენერგიულათ დაეწაფა თვით გ[illegible] მოწინავე მუშებში საპატიო ადგილი დაიკავა და ყოველთვის ირჩევდენ მას რაიონის კოლექტივებში და პარტიის ქალაქის კომიტეტში. 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ სანდრომ ცხინვალის რაიონში დაიწყო მუშაობა. ის აქ ეწეოდა პროპაგანდას გლეხობაში და მათში აღვივებდა რევოლიუციის სულს—1908 წელს სანდრო ჟანდარმებს ჩაუვარდათ ხელში და გადაასახლეს 5 წლით ვოლოგოდის გუბერნიაში. სამი წლის შემდეგ მას მიეცა შემთხვევა როსტოვში დასახლებულიყო. 1913 წ. სანდრო ბრუნდება თბილისში და მთელ თავის ენერგიით ეწევა პარტიულ მუშაობას. არ იყო არც ერთი რევოლიუციონური კულტურული პარტიული მუშაობა, რომ სანდროს არ მიეღო ენერგიული მონაწილეობა. ის იყო წევრი და შემდეგ თავმჯდომარე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციის, ის იყო ერთი დამაარსებელთაგანი და შემდეგ კი თავმჯდომარე მომხმარებელ საზოგადოება «აღორძინების». თებერვლის რევოლიუციის დაწყებიდანვე ჩვენ მას ვხედავთ მოწინავე მუშებთან ერთად ყველა პოლიტიკურ და მებრძოლ ორგანიზაციებში. სანდრო იყო წევრი მუშათა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის, «საზოგადოებრივ თავდაცვის კომიტეტის,» წითელ გვარდიის შტაბის. შემდეგ წევრი და თავმჯდომარის ამხანაგი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო გვარდიის, და საქართველოს პარლამენტის წევრი. ის იყო ერთი მთავარი ხელმძღვანელთაგანი სახალხო გვარდიის და იღებდა აქტიურ მონაწილეობას სახალხო გვარდიის ყველა გამოვსლებში, ყველა ბრძოლებში. ასეთი შეგნებული ამხანაგი, ასეთი დაუღალავი მუშაკი და უშიშარი მებრძოლი პროლეტარიატის საქმის, გამოგვტაცეს ხელიდან შოვინისტურ-კონტრ-რევოლიუციონურ სომხეთის დაშნაკელ მთავრობის ჯარებმა. საყვარელო სანდრო! შენი სახე სამუდამოთ დარჩება ჩვენს ხსოვნაში და პროლეტარიატი საქართველოსი არავის არ მისცემს ნებას გასთელონ ფეხ-ქვეშ ის იდეალი, რომელსაც შენ ემსახურებოდი. იგი (საქარ. პროლ.) არავის არ მისცემს უფლებას ხელი შეახონ იმ წმინდა ინტერნაციონალურ დროშას, რომლის დაცვაშიაც გმირულათ დასდე თავი.

ა. ფარნიევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფის ფრონტზე.

## სანდრო მაისურაძე სხსოვნას

(მოგონება)

14 დეკემბერს, ბორჩალოს მაზრაში, ეკატერინეფელდის ფრონტზე სომხების ჯართან ხელჩართულ ბრძოლაში მოჰკლეს სანდრო მაისურაძე. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საშინელი ამბავი ლახვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რივით დაესვება გულზე ყველა მის ამხანაგ-მეგობრებს. სანდრო მაისურაძე ერთი იმ მოწინავე მუშათაგანი იყო, რომლებმაც თავის კესერზე გადაიტანეს ჩვენში მთელი სიმძიმე ჯერ კიდევ ნიკოლოზ მეორის რეჟიმთან ბრძოლისა და შემდეგ დღიდან რევოლიუციონური გადატრიალებისა. ისინი მუდამ სათავეში უდგენ რევოლიუციონურ მოძრაობას და მუდამ თავგანწირულათ იბრძოდენ რევოლიუციის მტრების წინააღმდეგ. 1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის დროს სანდროს ჩვენ ვხედავთ თბილისში. მუშათა რევოლიუციონურ რაზმების სათავეში. შემდეგ, როდესაც რევოლიუცია დამარცხდა, მან იარაღი აისხა და ისევ ძველებურად არალეგალურად მუშაობა დაიწყო მუშებში,—პროპაგანდა, აგიტაცია და ორგანიზაცია—აი რით შესცვალა მან იარაღით ბრძოლა. 1908 წ. ივნისის პირველ რიცხვებში ნადიროვკაში, ლ. ებრალიძის სახლში დატუსაღებულ იქმნა «ახრანის» აგენტების მიერ თფილისის სოც.-დემ. კომიტეტი, რომელშიაც სხვათა შორის მოვყევით მე და სანდროც, როგორც წევრები ამ კომიტეტისა. პირველი ღამე ჩვენი დატუსაღების შემდეგ ერთად გავატარეთ მე-9 საპოლიციო ნაწილში. მთელი ღამე არ დაგვიძინია. ვლაპარაკობდით იმაზე, თუ როგორი ჩვენება მიგვეცა ჟანდარმებისათვის. ზოგიერთ ამხანაგებს დაღვრემილობა ეტყობოდათ და სანდრო იმათ მოლიმარი სახით ამხნევებდა, ანუგეშებდა. მეორე დღეს ჩვენ გაძლიერებულის «კანვოით» ჟანდარმების სამმართველოში გაგვისტუმრეს და იქიდან მეტეხის ციხეში. საშინელი პირობები იყო ამ დროს მეტეხის ციხეში. დღე არ გავიდოდა, რომ ყარაულ ჯარისკაცებს რომელიმე ტუსაღისათვის თოფი არ ესროლათ. ფანჯარასთან მოახლოვება ტუსაღის მხრივ და მით უმეტეს ფანჯრიდან გადმოხედვა ყოვლად შეუძლებელი იყო. მოდარაჯე ჯარისკაცები, როგორც კარგი მონადირეები, უთვალთვალებდენ ტუსაღებს. მაშინდელმა მეტეხის ციხის უფროსმა, ცნობილმა რომკევიჩმა ციხე ჯოჯოხეთათ გადააქცია. დღე და ღამე არ ეძინა ამ ძველ რეჟიმის გმირს და სულ იმის ცდაში იყო, რაიმე ნაირად შეევიწროებინა პოლიტიკური ტყვეები, რამეხაირად ფეხქვეშ გაეთელა მათი ადამიანური ღირსებები. პირადად სანდროს მდგომარეობა მეტეხის ციხეში პირდაპირ აუტანელი შეიქნა. იმ დროს პოლიცია გაშმაგებული ეძებდა ვიღაც ექსპროპრიატორ და შანტაჟისტ მაისურაძეს, რომელიც შეცდომით სანდროს მიამსგავსეს და ეს საკმარისი იყო, რომ ის ჩვენგან წაეყვანათ. ხელათ ბორკილები გაუყარეს სანდროს ფეხებში და ჩასვეს იმ კამერაში, სადაც ეგრედ წოდებული «სმერტნიკები» ჰყავდათ დამწყვდეული. ამგვარად მაშინდელი ციხის პირობები სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსთვის ერთი-ორად მძიმე შეიქმნა. ერთ კვირაზე მეტი დაყო სანდრომ «სმერტნიკებთან». შემდეგ. როდესაც გამოიკვლა, ორი ეს ის მაისურაძე არ იყო, რომელსაც ეძებდნენ, ბორკილები შეხსნეს და ისევ ჩვენთან გადმოიყვანეს.

ერთი წელი დავყავით ჩვენ მეტეხის ციხეში კატორღის მოლოდინში. ბევრი მწარე დღე ვნახეთ ამ ერთი წლის განმავლობაში, ბევრ ჩვენ ამხანაგს დაუღარა შუბლი მწარე ფიქრებმა მძიმე სასჯელის მოლოდინში. ამ დროს სანდრო უშიშრად და იმედიანად უცქეროდა მომავალს. რეაქციის საშინელმა ვაკხანალიამ ვერ შედრიკა მისი გული, მის კეთილშობილურ სახეზე არავის მწუხარება არ შეუმჩნევია.

თბილისის ჟანდარმებმა ჩვენი საქმე სასამართლომდე ვერ მიიტანეს და ბოლოს ორი წლით ვოლოგდის გუბერნიაში ადმინისტრატიული წესით გადასახლება გადაგვიწყვიტეს. 1909 წ. ივნისის პირველ რიცხვებში ყველანი ერთად გაგვისტუმრეს ეტაპით ვოლოგდის გუბერნიისაკენ. აუტანელი იყო ის ერთი წელიწადი, რომელიც ჩვენ ციხეში გავატარეთ, მაგრამ ერთი-ათად უარესი იყო მაშინდელი ეტაპით მოგზაურობა. მე სანდროს ვოლოგდის გუბერნიის სამაზრო ქალაქ ტოტმაში დავშორდი.

1913 წ. როდესაც დავბრუნდი ქალ. თბილისში, ხელახლად შევხვდი სანდროს. აქ სანდრო ძველებურად ისევ მუშებში მუშაობდა. იმ ხანათ ჩვენი პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა მუშათა ლეგალურ ორგანიზაციებში—პროფესიონალურ კავშირებში, კოოპერატივებში და სხ. მუშაობას. თბილისში იმ დროს კოოპერატივები არსად არ არსებობდა და ჩვენ განვიზრახეთ დაგვეარსებინა მუშათა კოოპერატივი. გავმართეთ მოლაპარაკება ტრამვაის მუშებთან და მალე შევადგინეთ ტრამვაის და რკინის გზის მოწინავე მუშებისაგან ჯგუფი, რომელიც ბეჯითად შეუდგა კოოპერატივის მოწყობას. ამ ჯგუფის ერთი მეთაურთაგანი იყო სანდრო მაისურაძე და მის დაუღალავ ენერგიას უნდა მიეწეროს ის, რომ სულ მოკლე ხანში დავამტკიცებინეთ წესდება, შევაგროვეთ საპაიო თანხა და გავხსენით პირველი მუშათა კოოპერატივი «აღორძინება»-ს სახელწოდებით. სანდრო გამგეობის წევრად იქმნა არჩეული და მისმა დაუღალამა ენერგიამ აქაც, მისთვის ახალ ასპარეზზე, თავისი ღრმა კვალი დაამჩნია.

1917 წ. როდესაც მოხდა რევოლიუციონური გადატრიალება, სანდრო ჩვეულებრივ ამ რევოლიუციის მეთაურთა წრეში მოექცა. ის რევოლიუციის პირველ ხანებში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო-

ებს აწყობდა, საიდანაც არჩეულ იქნა ალმასრულებელ კომიტეტის წევრათ. აქ ის დაუღალავად მუშაობდა. მას შემდეგ, როდესაც რევოლიუციის მტრებთან საჭირო შეიქმნა იარაღით ბრძოლა, ის სხვა ამხანაგებთან ერთათ იწყებს მუშათა წითელი გვარდიის შედგენას, სადაც მან ბოლოს სათანადო ადგილი დაიჭირა—გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარის თანაშემწის თანამდებობა და ამ «პოსტზე» ის გმირულად მოკვდა. სანდრო და მისი წითელი გვარდია რევოლიუციის მტრებს ებრძოდენ მუდამ. ვინ იყო და ვინ არის ეს რევოლიუციის მტრები? ძველი რეჟიმის მოტრფიალენი, ბოლშევიკები, ოსმალეთის ჯარი, რომელსაც უნდოდა საქართველოს შემოსეოდა და მისი თავისუფლება და ფიზიკური არსებობა მიწასთან გაესწორებინა და დღეს კიდევ ეფემენის მთავრობა, რომელმაც ჩვენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. ჩვენი დემოკრატია საუკეთესო შვილებს სწირავს ამ ომს. რით შეუძლია არარატის მთავრობას აგვინაზღაუროს ის, რაც ჩვენ სანდროს და სხვა საუკეთესო ამხანაგების სახით დავკარგეთ ან კიდევ დავკარგავთ მომავალში. არაფრით!

ძვირფასო მეგობარო სანდრო! შენ სამუდამოთ მოშორდი შენ საყვარელ საქმეს—პროლეტარიატის და დემოკრატიისათვის შეუდრეკელ ბრძოლას, შენ ველარ ნახავ შენ ძვირფას თავისუფლებისთვის მებრძოლ ქვეყანას, ველარ ვიხილავთ ჩვენ, შენი მეგობრები, შენ მუდამ მოღიმარ სახეს, ვერ გავიგონებთ შენს მანუგეშებელს და გამამხნევებელ სიტყვებს. არ მინდა ვიტირო, არ მინდა ცრემლები ვღვარო, გმირის საფლავს არ შეშვენის ცრემლები. მაგრამ რა ვუყო რომ გრძნობა სჭარბობს და ცრემლი ჩემდა უნებურათ ჩამოდის თვალთაგან. ძვირფასო ამხანაგო სანდრო! შენ უკვდავი იქნებ, როგორც ჩვენს გულში, ჩვენს ხსოვნაში, აგრეთვე პროლეტარიატის, იმ დემოკრატიის ისტორიაში, რომელსაც შენ შესწირე მთელი შენი სიცოცხლე.

ვ. ც.

## მოგონება.

(ტაბახმელა და ბოლნის-ხაჩინი).

ტფილისს განსაცდელი ორჯელ მოელოდა: ერთხელ მაშინ, როდესაც ტაბახმელას ფრონტი გვქონდა, მეორეთ, როდესაც შულავერს და ეკატერინო-ფელდს სომხის ჯარი მოადგა და ჩვენი ჯარი და გვარდია პირის-პირ შეხვდა.

ერთი და მეორე განსაცდელის დროს სანდრო სამშობლოს დაცვის ერთი მთავარი მონაწილეთაგანი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

. ტფილისის მდგომარეობა საშინელი იყო, ოსმალეთის ჯარი ბორჩალოს მაზრაში შემოიჭრა, მცხოვრებლებს თავ-ზარი დასცა, შეშინებული მცხოვრებნი ტფილისს მოაწყდა, მაზრა აფორიაქდა, მტერი წინ მოიწეოდა და შველა არსად იყო... საქართველოს დედაგულს—ტფილისს განსაცდელი მოელოდა!

უკან დახევა შეუძლებელი იყო, უბრძოლველად ტფილისს ოსმალოს ვერ დაუთმობდით და ჯარი და გვარდია საომარ სამზადისს შეუდგა.

იმ დროს საქართველოს დამოუკიდებლობა კიდევ გამოცხადებული არ იყო. მაგრამ აშკარად ჩანდა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დანაწილდებოდა. ტფილისი ქართულ კორპუსს და გვარდიას უნდა დაეცვა; ახლად შემდგარი, გაუწრთვნელი და ტექნიკურად შეუიარაღებელი ჯარი და გვარდია ოსმალოს ასკერებს უნდა შებრძოლებოდა. იმ ხანად გვარდია და ჯარიც ახალი ორგანიზაცია იყო, ისინი მხოლოდ ეხლა ეწყობოდენ, ირაზმებოდენ, მაგრამ გადაწყდა—ოსმალებისათვის ბრძოლა უნდა მიგვეცა. გვარდია და ჯარი ტაბახმელასკენ დაიძრა, მთელ ჩვენ ძალას თავი იქ მოეყარა, და მტერს უცდიდა. ჩვენი მზვერავები შორს ბორჩალოს მაზრისკენ წავიდნენ... გულის ფანცქალით ცნობებს მოველოდით.... ტაბახმელას ფრონტის დაცვა გენერალ ახმეტლაშვილს მიენდო, საერთო ხელმძღვანელი გენერალი კვინიტაძე იყო. ის კარგად იცნობდა ტფილისის დასაცავ ადგილებს, ტაბახმელას მიდამოები სანგრებით რუსეთის მმართველობის დროს მისი გეგმით იყო გამაგრებული; მაგრამ ოსმალეთის ასკერებთან ბრძოლა მაინც ძნელი იყო. იმედს კი არ ვკარგავდით. საუკეთესო ჩვენი მუშები, რომლებიც გვარდიას შეადგენდნენ, ტფილისის დასაცავად გამოვიდნენ.

სანდრო ამ დროს ყველგან იყო; გვარდიის სურსათი, ტანსაცმელი, შეიარაღება, მათში სულიერი განწყობილების შენახვა სანდროს საზრუნავ საგანს შეადგენდა. ის, როგორც ვეფხვი ისე დატრიალობდა. შტაბის წევრნი ვალიკო, გერასიმე მაჩარაძე გენერალ ახმეტელაშვილთან ერთად ყოველ დღე ფრონტს ნახულობდნენ. ტაბახმელას ფრონტი სანგრებით და მავთულებით გაამაგრეს და მტერს უცდიდნენ...

მაგრამ ამ უბედურებამ ჩაიარა; ამ დროს გერმანიამ წინადადება მისცა ოსმალეთს თავის მსვლელობა შეეჩერებია, მალე ბათუმის ხელშეკრულებაც დაიდო და საქართველო ოსმალოს აოხრებას გადარჩა...

— ტაბახმელას ფრონტის მოხსნის რამდენიმე დღის შემდეგ ჩემთან შემოვიდა სანდრო. ეხლა ის იმაზე ზრუნავდა, რომ არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მავთული, არც ერთი სარი, ან რამე ნივთი ტაბახმელას ფრონტზე ატანილი არ დაკარგულიყო; ამისათვის მან საგანგებო ტრანსპორტი მოაწყო და ყველა ეს ისევ თფილისს ჩამოიტანა. «კიდევ დაგვჭირდებაო»—იტყოდა განსვენებული, და აკი კიდეც დაგვჭირდა. ვინ მოსთვლის ტაბახმელას შემდეგ რამდენი ფრონტი გვქონდა კიდევ... ყველა გამოსვლებს სანდროს მარჯვენა თან ახლდა.

— ბოლოს-კი, 19 დეკემბერს, მაშინ, როდესაც თფილისს მეორეთ განსაცდელი მოელოდა, დემოკრატიის და საქართველოს სამსხვერპლოზე მტრის ხელით მისი სისხლი დაიღვარა...

მეორე განსაცდელი თფილისს მოელოდა სომხეთთან ომის დროს. შულავერთან და ეკატერინოფელდთან ჩვენ, რომ ბრძოლა წაგვეგო, თფილისის კედლებთან გვექნებოდა ბრძოლა.

ხალხმა მაშინ იგრძნო და შეიგნო სიდიადე მომენტისა, და მტერი უკუქცეულ იქმნა ორივე ადგილას. ბოლნის-ხაჩინის მიდამოებში სანდროს მტერმა გული განუგმირა, მაგრამ ბრძოლა წააგო და ჩვენ გვარდიას ზურგი უჩვენა. სანდროს დანთხეული სისხლი თავდები იყო, რომ მტერი მალე მთლად შეიმუსრებოდა: იქ, სადაც გმირობა და თავდადებაა, იქ გამარჯვებაცაა...

გამარჯვებულები დასტკბენ თავიანთი გამარჯვებით, ხოლო ამ ომში დაღუპულებს და მათ შორის სანდროს მადლიერი სამშობლო და დემოკრატია არ დაივიწყებს...

გვახსოვს ჩვენ სანდრო დღეს, 19 დეკემბერს, მისი გმირულათ დაღუპვის წლის თავზე!

გვახსოვს ყველა ისინი, ვინც ჩვენ ქვეყნის დაცვის დროს დაიღუპა! საუკუნოები გავლენ, ერთ მოდგმას მეორე შეცვლის, მაგრამ გმირების სახელი უკვდავია ერის ისტორიაში!

გრ. გიორგაძე.

## სანდრო მაისურაძის ხსოვნას.

ტყეში შეველი... ფოთლებმა—
ერთხმად დაიწყეს ჩურჩული;
თან დამილოცეს—თავის კვრით
სამშობლო გადაფუჩქნული!

ნაზ-იამ გული მიჩვინა,
გუმბრებმა ფთები აშალა;
და წერომ ქვეშა მძინარემ—
მუხის ფოთლები გაშალა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ჩამოვჯექ... თავბრილმა—
    გადავისახე პირჯვარი,
და მომეჩვენა ეკლებში
    მაცხოვრის ხატი და ჯვარი.

ზედ წარწერილი ქართულად:—
    ქრისტეს აღდგომა დღესაო!
სამშობლო განთავისუფლდა—
    აღარ მოისმის კვნესაო.

იას ვაკოცე, გუმბრებსაც—
    მე რა ვიხილე ეს არე;
მზესაც სხივები ულოცე,
    აღვაფრთოვანე მე მთვარე.

ღმერთო! ყოველ დღე მიჩვენე—
    ეს საუცხოვო სურათი;
ია—ყვავილში ბრწყინავდეს,
    მოცული იყოს გუმბრათი!

ას.-ამწყ. **დონ—ღანი.**

## სიტყვა სოჭის ოლქის წარმომადგენლისა.

(წარმოთქმული სანდროს სახელობის ბიბლიოთეკის გახსნაზე).

ამხანაგებო! შეიძლება მე განსვენებულ სანდრო მაისურაძეს ყველა წინეთ მოლაპარაკე მის ამხანაგებზე და მეგობრებზე ნაკლებათ ვიცნობდი, მაგრამ მე მაინც ვიცნობდი მას. და ვიცნობდი მას სოჭის ოლქში, რომელსაც ერთ დროს წილად ხვდა ყოფილიყო ბარიერად იქ, სადაც საქართველოს დემოკრატია და ჩვენ, სოჭის ოლქის მცხოვრებნი, ვაღრმავებდით სოჭის ოლქის დემოკრატიას შეგნებას და ვიცავდით უკანასკნელს (სოჭის დემოკრატიის) და საქართველოს მოხალისეთა ჯარის შემოსევისაგან, რომელთა მიზანი იყო როგორც სოჭის ოლქის, ისე საქართველოს დემოკრატიის გაქელვა და რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა გაქარწყლება, განადგურება. სოჭის ოლქის ისტორიის ფურცელი ცარიელია სანდროს ცხოვრების იმ ტრაგიკულ ეტაპზე, როდესაც სოჭის ოლქის დემოკრატიის დამცველთა რიგს სანდრო მაისურაძე გამოაკლდა.

ის სოჭის ოლქიდან წავიდა უფრო მნიშვნელოვანი მონდობილებით მეორე ფრონტზე და თან წაიყვანა მშვენიერი სახალხო გვარ-

დია... გავიდა მხოლოდ რამოდენიმე დღე, უკანასკნელი გვარდიელე-
ბი არ დაშორებულან სოჭას 70 ვერსითაც, რომ სოჭაში შემოიჭრენ
მოხალისეთა დამქაშები. რაც მოხდა, თქვენ იცით. დიდათ სამწუ-
ხარო და დამაღონებელია ამაზე ლაპარაკი. სოჭის მცხოვრებნი
დღემდე მთებში არიან შეფარებულნი, იქ სადაც სოფელი იყო,
დღეს მხოლოდ მოსჩანან ბუხრები და ნანგრევები. რომლებსაც არ-
ღვევს და ანადგურებს წვიმა და თოვლი. სოჭის ოლქი, ეს გაპარ-
ტახებული, განადგურებული ადგილი წარმოადგენს სამწუხარო ფურ-
ცელს დემოკრატიის ცხოვრებაში.... საუკეთესო ამხანაგები ნოვო-
როსიის სატუსაღოში გაისტუმრეს და იქ იტანჯებიან... აი ასეთია
სოჭის ოლქის ბედი. და აი დღეს, ვესალმები რა სანდრო მაისურა-
ძის სახელობის სამკითხველოს გახსნას იმ სანდროს, რომელიც წეს-
რიგის, თავისუფლების და რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპო-
ვართა დაცვის სადარაჯოზე მედგრად იდგა, მე მინდა ვირწმუნო,
რომ სოჭის ოლქის გაკვეთილი ყოველთვის თვალ წინ ექნებათ მათ,
ვისაც რათაც არ უნდა დაუჯდეს მაინც უნდათ საქართველო ჩაით-
რიონ ანარქიაში და სამოქალაქო ომში.

ჭეშმარიტი დემოკრატია, როგორიც არის პროლეტარიატი,
არასოდეს არ უნდა გადიხაროს როგორც თავისი კლასიური მტრე-
ბის მხარეზე ისე, იმ მოძალე მეგობრების მხარეზე, რომლებმაც
მთელ რუსეთს ამდენი ცრემლები, უბედურება და სისხლი არგუნეს
წილად.

დღეს განსვენებულის თანამებრძოლებმა თქვენ მოგახსენეს იმ
თავდადება და ენერგიაზე, რომელიც გამოიჩინა სანდრო მაისურაძემ
დემოკრატიის სასარგებლოდ.

ეს სამაგალითო ერთგულება თავისი ხალხის და დემოკრატიი-
სადმი უნდა იყოს მაგალითი ყველა ჩვენი ამხანაგებისათვის, როდე-
საც ჩვენ ვირაზმებით დემოკრატიის საქმეებისათვის, ჩვენი საბო-
ლოო მიზნების მისაღწევად ყოველთვის უნდა ვიხელმძღვანელოთ
ასეთი ამხანაგების (როგორიც იყო სანდრო) მაგალითებით და ენ-
ტუზიაზმით. შესაძლებელია, დემოკრატიის შიგნით არიან ისეთნი,
რომელნიც ცდილობენ დღეს, დღევანდელ პირობებში, რათაც არ
უნდა დაუჯდესთ, მიაღწიონ სოციალური ბრძოლის უკანასკნელ სა-
ფეხურს.

ეს გზა-აბნეულნი მუშათა საქმეს მიაყენებენ გამოუსწორებელ
ზიანს და დიდი ხანით ჩააბარებენ მის ბედ-ილბალს შავ რეაქციას.

შეხედეთ რუსეთს.. იქ გამტკიცებულია სიმშილ-სიკვდილი, რო-
მელიც თავისი გაძვალ-ტყავებული ხელით უკაკუნებს დაობლებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოხთა ფანჯრებს. სამოქალაქო ომის კორიანტელს ჩაექსოვა საშინელება და უგნურება.

აი რას გვაძლევს სამწუხარო ექსპერიმენტები. ჩვენი გონება იმოსება მწუხარებით. სამართლიანმა გულისწყრომამ ჩვენი კლასიური მტრებისადმი უნდა دااბნელოს ჩვენი გონება, მაგრამ...

ამხ-ბო! როდესაც ვსწყვეტთ ჩვენს საქმეს, უნდა გვახსოვდეს, რომ ერთ საათში, ერთ დღეს, გინდ ერთ წელს ვერ გასწორდება საუკუნოებით შექმნილი ანგარიშები.

სწორეთ სამართლიანად სთქვა იტალიის დიდმა რევოლიუციონერმა—მაძინმა:

«თქვენ ხართ თესლი ახალი ქვეყნისა, მაგრამ უფრო მშვენიერი ახალი ალიონი ჯერ არ შობილა».

ჯერ კიდევ არ შობილა დილა უკანასკნელი ბრძოლისა. ალიონი კიდევ ვერ კამკამებს ჩვენს დროშებზე თავისი ალისფერ სხივებით.

ჩვენ კვლავ ვიბრძვით და ჩვენ მხოლოდ ახლა გვინდა შეუდგეთ დიად ბრძოლას, რომელზედაც ჩვენი ჰიმნი ამბობს «ეს იქნება უკანასკნელი და გარდამწყვეტი არ ბრძოლა».

მაგრამ მივდივართ რა ამ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ, ჩვენ უნდა ვიყვეთ შეკავშირებულნი, გაბედულნი და გამსჭვალულნი ღრმა რწმენით საკუთარი საქმისადმი სწორეთ ისე, როგორც ეს სწამდა განსვენებულ სანდრო მაისურაძეს.

სამკითხველოს ვუსურვებ აღყვავებას...

გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს!

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს უკანასკნელ გარდამწყვეტ ბრძოლას!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!

## სანდრო მაისურაძე

(მოგონება)

1908 წ. 1 ენკენისთვეს დამაპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩამამწყვდიეს; შავ-ბნელი რეაქცია ამ დროს საშინლათ მძვინვარებდა; ციხე, ციმბირი, სახრჩობელა, დახვრეტა, ცემა-ტყეპა, აი რა ისმოდა ირგვლივ და რა ხდებოდა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადები ზოგი ციმბირში იყვნენ გაგზავნილი და ზოგნიც ციხეში გამომწყვდეულნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-11 საკანში იჯდა ნოე ჟორდანია, ძველ შენობაში ისიდორე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, გიორგი მარსაგოვი და სხვანი.

პირველათ მე 31 საკანში მომათავსეს, საიდანაც ერთი თვის შემდეგ შუა შენობის პატარა მე-8 საკანში გადამიყვანეს, სადაც 30 ტუსაღი იყო ჩაკეტილი. ამ საკანში თითქოს განგებ რჩეული ამხანაგები იყვნენ, რომლებსაც სხვა და სხვა მძიმე ბრალდებები ჰქონდათ წარდგენილი; მათ შორის დამიხვდა სანდრო მაისურაძეც.

სანდროს 1905 წლიდან ვიცნობდი; ციხემ უფრო დაგვაახლოვა და დაგვამეგობრა.

სანდროს განსაკუთრებით უყვარდა კამათი და აი ამ კამათში მთელი თავისი ფაქიზი ზნეობრივი შინაარსით, მტკიცე რწმენით და ფოლადი ნებისყოფით იშლებოდა სანდროს გული და სული. მისი თეთრ-წითლათ გამოკვალთული სახის ნაკვთთა შორის ყველაზე მჭევრმეტყველი იყო შეჭმუხვნილი დიდი შავი წარბების ნაკეცები; ცეცხლის მფრქვევ მსხვილ შავ თვალებთან ერთად ეს შეჭმუხვნილი წარბები ერთი თვალის შევლებითვე მოპირდაპირეს იმორჩილებდენ. ლაპარაკი მძიმე, ომახიანი და რიხიანი ჰქონდა.

ციხის უფროსათ იყო გიჟი, გადარეული სულით ავათმყოფი ცნობილი რიმკევიჩი, რომელიც ციხის მცველების ძლიერი ამალით და ხელში რევოლვერის პრიალ-ტრიალით დარბოდა საკანებში და უმწეო ტუსაღებს თავზარსა სცემდა. მისი ნეტარება იყო, როდესაც მის წინ სულმოკლე ზოგიერთი ტუსაღები კანკალებდენ და მონურათ იღიმებოდნენ; ხოლო საშინლათ ზიზღდა მას და ვერ იტანდა იმათ, ვინც მას თავს არ უხრიდა და ეურჩებოდა; ასეთების წინააღმდეგ ის სასტიკ ზომებსა ღებულობდა.

განსაკუთრებით ეჯავრებოდა რიმკევიჩს ამხანაგი ისიდორე რამიშვილი, რომელსაც ათასგვარ დამცირებას და შევიწროებას აყენებდა; მაგრამ მოხუცი ისიდორე ვერ მოედრიკა, რაც მას მეტათ აღშფოთებდა და სულის სიმშვიდეს უკარგავდა.

ჩვენს საკანში კი რიმკევიჩს თვალში ჰყავდა ამოღებული სანდრო მაისურაძე, რომლის დანახვაც კი სიკვდილზე მეტათ ეჯავრებოდა; მას თავზარსა სცემდა და მთავარ გონებას უკარგავდა სანდროს შეკრულ-შეჭმუხნული წარბები და მსხვილი ცეცხლის-მფრქვევი თვალები, რომლებიც დაუხამხამებლათ და შეუპოვრათ მისჩერებოდენ ამ კაცი-ჭამიას.

რიმკევიჩმა გადასწყვიტა სანდროს დატუქსვა—დაშინება და «მორჯულება»; ერთ დღეს რიმკევიჩი თავისი განუშორებელი ამალით შემოვარდა ჩვენს კამერაში და დაფეთიანებულმა სანდროს სა-

ხელი და გვარი ჰკითხა; სანდრომ დინჯათ და მძიმეთ მიუგო თავისი სახელი და გვარი. «სცრუობ, შენ ის მაისურაძე ხარ, რომელსაც რა-მოდენიმე მკლელობა ბრალდება», დაიღრიალა რიმკევიჩმა. სანდრომ კლავ დინჯათ მიუგო, რომ ის არის სანდრო მაისურაძე და სრულებით არ იცნობს ვიღაც მაისურაძეს, რომელსაც რიმკევიჩი ასახელებს. გამხეცებული რიმკევიჩი აყვირდა; პირიდან დორბლსა ყრიდა და ირწმუნებოდა, რომ მან ეს სისწორით იცის და არ მოსტყუვდება.

თანახმათ რიმკევიჩის სასტიკი განკარგულებისა ციხის მცველებმა გაიყვანეს სანდრო, ჩაიყვანეს ძირს ეზოში და იქ მიწურ საკანში, სადაც ოცდაათამდე სიკვდილ მისჯილი ტუსაღი იყო ხელფეხ—ბორკილ დადგმული.

სანდრო თითქმის ორი კვირა იჯდა იმ ნესტიან სამარეში და არ იცოდა, რა მოელოდა. ამით უნდოდა რიმკევიჩს სანდროს გატეხა, მაგრამ მიუხედავათ ასეთი სასტიკი სასჯელისა, ის მაინც არ შედრკა, არ შეშინდა.

ორი კვირის შემდეგ ისევ ამოიყვანეს ჩვენთან სანდრო; ის ისევ ის სანდრო იყო, უცვლელი, შეუპოვარი, გულადი, გმირი. როდესაც ამის შემდეგ რიმკევიჩი შემოვიდა, სანდრო მას კვლავ თავს წაადგა თავისი მრისხანე წარბებით და უსამართლობა ამხილა. სანდროს მაგივრათ სხვები შიშობდნენ, თრთოდენ, ის კი გაკერპებული და გაკაჟებული კვლავ თავისას ამბობდა და არწივსავით მრისხანეთ ჩასცქეროდა რიმკევიჩს.

და აი ამ ფოლადის ნების ყოფის ადამიანმა თვით რიმკევიჩიც კი დაიმორჩილა; სანდრო ზნეობრივათ უფრო ამაღლებული და გამარჯვებული იდგა, ხოლო რიმკევიჩი კი დამარცხებული, დამცირებული.

ამის შემდეგ სანდრო ერთი ათად ამაღლდა ტუსაღების თვალში; ის გმირი იყო.

მე ქვეითა ციხეში გამგზავნეს და ამხანაგებს, მათ შორის სანდროსაც დამაშორეს, რომლებთანაც წელიწადი გავატარე.

რევოლიუციამდე სანდრო ხშირად მხვდებოდა; შავი წარსული მას თავზე გადევლო ისე თავისუფლად, რომ მაზე არავითარი კვალი არ დაეტოვებინა; სალ-კლდესავით შეუპოვარი, მხნე და ხალისით სავსე ის ვკლავ განაგრძობდა ბრძოლას.

მე არაფერს ვიტყვი სანდროს რევოლიუციონურ ბრძოლის შესახებ; ეს ყველასათვის ცნობილია; ავღნიშნავ მხოლოთ მასთან უკანასკნელათ შეხვედრას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასახლის ეზოში, იქ სადაც შუა აგდილას დიდი ...
სდგას, ზევიდან მომავალი შევხდი მთავარ შტაბის ...
მოსულ სანდროს, რომელიც მძიმე, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით მოდიოდა და თან შინელს ისწორებდა; მოდიოდა ის ოდნავ თავ-დახრილი; მის სახეზე მზრუნველობა და ჭმუნვა აღბეჭდილიყო.

«გამარჯობა, ეკატერინოფელდში მივდივართ; მეჩქარება», მითხრა მან, კვლავ თავი დახარა და თავისი შეჭმუხვნილი წარბებით გასწია; ის არც კი შეჩერდა, ისე მიიჩქაროდა; მე გული მომეკუმშა და შემდეგ თითქოს რაღაცა სიმი ჩამწყდა; გულნატკენი, აღელვებული თვალს არ ვაშორებდი მიმავალ სანდროს, რომელიც ქართველ-სომეხთა საბედისწერო ომში მიეჩქარებოდა. და აი, მისი უკანასკნელი ასეთი სურათი, მისი ჭმუნვა-მოსილი, მზრუნველი სახე შეჭმუხვნილი წარბებით ღრმათ ჩამ,ბეჭდა გულ-გონებაში და ეს საინტარო სურათი სამარეშიც თან ჩამყვება.

ი. ირემაშვილი.

## მოგონება ალ. მაისურაძის ცხოვრებიდან.

სომხებთან ახალი დაწყებული იყო ომი, როდესაც მე შემთხვევით შევედი სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში. მთავარი შტაბის წევრები ომში წასასვლელად ემზადებოდნენ. სანდროც რაღაცა ფაცა-ფუცში იყო, ალბათ მას მოსვენებას არ აძლევდა ის საზარელი ამბავი, რომელიც სანაინიდან მოსულმა გვარდიელმა გვიამბო. მთავარი შტაბის ოთახი წყნარმა სიჩუმემ მოიცვა. ვინაიდან კრება გათავებული იყო, ამიტომ აქ მრავალ მსმენელთ მოეყარათ თავი და გაფაციცებით ყურს უგდებდნენ მოამბე გვარდიელს, ყველას სურდა ყოველი მისი სიტყვა მათ ყურთა სმენას არ გამოპაროდა.— ლაპარაკი ზედმეტია, ზედმეტია ამხანაგებო, საქმე აღარ იცდის, მოვემზადოთ ვერაგ მტრის დასახვედრად!... წაილაპარაკა სანდრომ და ქუდი, რომელიც კუთხეში ეკიდა, დაიხურა და შტაბის ოთახიდან კარში გამოსასვლელად მოემზადა, მაგრამ უცბად შეჩერდა. თვალებით მედგრად გადმოგვხედა და ვკლავ ჩვენს ახლოს შეჩერდა. მისი მაშინდელი სახის გამომეტყველება ნათლად მოწმობდა იმ საშინელ განცდას, რომელსაც რევოლიუციის ყოველი გმირი განიცდის როცა რევოლიუციას და დემოკრატიულ წესწყობილებას საფრთხე მოელის.

არაფერია. მტერს გაუმკლავდებით! ჩვენი გვარდია ფეხზე დადგა, ყველა კუთხიდან ბიჭები მოდიან!.... სთქვა სანდრომ და გასაოცარი სისწრაფით კარში გამოვიდა და სადღაც გასწია.

მეორე დღეს გაზეთებში ცნობები იყო, რომ ვალიკო და სანდრო თავისი სახელოვანი გვარდიელებით პოზიციაზე წასულიყვნენ.

ჩემა გულმა რაღაცა ცვლილება იგრძნო. იმედებით და ნუგეშით აღმევსო გრძნობა. ტფილისში იმ დროს ათას ჭორებზე ლაპარაკობდნენ: ტფილისში სომხების შემოსვლაზე და სხვა.—განსაკუთრებით ასეთ ხმებს უფრო ხალხის და რევოლიუციის მტრები ავრცელებდნენ. ჩემი გული კი ასეთ ხმებს ახლოს არ იკარებდა, რადგანაც პოზიციაზე ვალიკო და სანდრო მეგულებოდა. მე დარწმუნებული ვიყავი საქართველოს ჯარების გამარჯვებაზე, ვინაიდან საუკეთესო ჩვენი დემოკრატიის გმირები პოზიციაზე იყვნენ. ამ გმირებს კი გვერდში უდგა თავისი საყვარელი სახალხო გვარდია მუშებისაგან და გლეხებისაგან შემდგარი. აი, ამ გმირებს შორის იყო ჩვენი სანდროც, რომელიც ისე დაჩემებული წავიდა, როდესაც მე იგი წინა დღეებში შტაბის ოთახში შემთხვევით ვნახე. გაზეთები სასიხარულო ცნობებს გადმოგვცემდნენ, სადაც სანდრო თავისი გვარდიით მედგრად იბრძოდა—მტერს ეკატერინოფელდთან თავპირს ამტვრევდა. ჩვენი გვარდიის ამ რაიონებში მოქმედების აღწერით ისტორიკოსები დაამშვენებენ საქართველოს ისტორიის ფურცლებს, რითაც იამაყებს ჩვენი მომავალი თაობა. ერთ დღეს შოთა რუსთაველის ქუჩაზე მრავალ ამხანაგებს შევხვდი, რომელთაც საყოველთაო მოწყენილობა ეტყობოდათ. აზრმა გამიარა გულში, ეგებ ჩვენები დამარცხდენ პოზიციაზე. და იმიტომ არიან მოწყენილი მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი თურმე ფრონტი გამაგრებული იყო და საქმეც რიგიანად მიდიოდა რომ.....

საუკეთესო ამხანაგი სანდრო არ გამოსალმებოდა წუთი სოფელს.

თუმცა ეკატერინოფელდთან მტერმა სანდროს გული გაუგმირა ტყვიით, მაგრამ სანდროს იდეამ მაინც გაიმარჯვა და მტერი დამარცხებული გარბოდა.

დაღონება და მწუხარება მაშინ ვიგრძნე, როდესაც სანდრო თფილისში მოასვენეს პოზიციიდან... იგი მოკვდა... მაგრამ არ მომკვდარა მისი აზრები, მისი მისწრაფებანი.

გული მიწუხდა, როდესაც სანდროს კუბოში ვხედავდი. უფრო გული მიკვდებოდა, როდესაც მის ახლოს ახალგაზრდა დამწუხრებულს სანდროს ცოლს ვხედავდი.

მომაგონდა სანდროს სიტყვები როდესაც მან წასვლის დროს შტაბის ოთახში სთქვა: «არაფერია, მტერს გაუმკლავდებითო». თუმცა სანდრო მოკვდა, მაგრამ იგი გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე რევოლიუციისა და დემოკრატიის საკეთილდღეოთ.

მისი ხსოვნა ოქროს ასოებით იქნება აღნიშნული საქართველოს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში.

ალ. გოდრგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხ. სანდროს ხსოვნას.

ავგუსტოვოს ტყეებში ოცი ათასობით ვაწუხებდით ჯარისკაცები ომში დახოცილებს და ამ დროს ჩვენს საიდუმლოებას—ე. ი. სამშობლოს სიყვარულს და პატივისცემას, გულში ვიკლავდით და არ გვქონდა ძალა მამაცურად გამოგვეთქვა შინაარსი მაშინდელ ატეხილი ომიანობისა.

დღეს-კი როცა სამშობლოს განთავისუფლებას მოვესწარით და მის სათავეში გვეგულება ნამდვილი გულ—შემატკივარნი და თავისუფლების მოყარულნი მეთაური, საშვალება მეძლევა გაბედულათ, როგორც თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს მოქალაქე გითხრა შემდეგი:

«შენებრ მამაცურად უნდა დაანთხიოს ყველა შეგნებულმა ქართველმა მუშამ თავისი სისხლი თავისუფლებისა, თანასწორობისა და ხალხის სიყარულის საქმეში», როცა კი ეს აუცილებელი და საჭირო იქნება. დაუვიწყარი იქნება შენი სახელი ხალხის გულში და დაუვიწყარი იქნება ჩემშიაც, როგორც ერთი ბოგანო მუშის გულში.

**დათიკო ნ. ლიდლიბერიძე.**

## ანარქია თფილისში და სახალხო გვარდია.

ამ ჟამად თფილისის მოქალაქე დამშვიდებით განაგრძობს თავის ყოველ-დღიურ ცხოვრებას. იგი მრავალ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ, სამაგიეროთ, იგი დარწმუნებულია, რომ მისი სიცოცხლე უზრუნველყოფილია ანარქიის შავ-ბნელი ტალღებისგან.

სულ სხვა სურათს წარმოადგენდა თფილისი ამ ერთი წლის წინად—მაშინ ბოლშევიკობა «მოდაში» იყო და ყოველი ნაძირალა და ძველი რეჟიმის მომხრე ბოლშევიზმის გარშემო იკრიბებოდა.

როდესაც კავკასიის ფრონტიდან გაბალშევიკებული ჯარი დაიძრა, პირველად თფილისის ახლოს გაიარა ყარსის პოლკმა. წინდაწინ შევიტყვეთ, რომ ეს პოლკი აპირებს თფილისში «შევლას» და იქ «წესიერების» აღდგენასო. არ ეძინათ თფილისის ბოლშევიკებს ფ. მახარაძეს და კუზნეცოვ ბირიუკოვების მეთაურობით... ჩვენ ძალიან კარგათ გვესმოდა, თუ რას ნიშნავდა თფილისში «შევლა». არ ეძინა—ეხლანდელ სახალხო გვარდიის შტაბის წინამორბედს მაშინ—თავდაცვის კომისიასაც. თუმცა მცირე, მაგრამ რაც კი ჰყავდა მთელი შეიარაღებული ძალები ფეხზე დააყენა. ნავთლუღის რაიონის დაცვა უკისრია განმანაწილებელ პუნქტის და კახეთის და მთავარ რკინის გზების წითელ გვარდიელ მუშებს. ავლაბრის შემოსავალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე ალაგას «პოზიციები» დავიჭირეთ და შეიარაღებული მუშები გაუხდელათ და მოუსვენრათ დიდხანს სდარაჯობდენ, რომ დაუპატიჟებელი სტუმრები თფილისში არ შემოეშვათ. მიზანსაც მიახწიეს...

ამ დროს ტფილისში ანარქია-ექსცესები ხან აქ იჩენდა თავს, ხან იქ. მიმავალი ჯარის კაცები იტაცებდნენ და სცარცვავდნენ სახელმწიფო ქონებას. იშლებოდა პოლკები და ჯარების ნაწილები— სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწყობებს და ქონებას მასიურად სტოვებდნენ დარაჯი სალდათები ღვთის ანაბარათ, მოჰქონდათ რის წამოღებაც შეეძლოთ. ამტვრევდნენ საწყობებს და ამით ყოველი მძარცველი სარგებლობდა. თავდაცვის კომისიის ტელეფონი განუწყვეტლივ მუშაობდა. ყოველის მხრიდან გვთხოვდენ შველას—გამოგზავნეთ გვარდიელები და დაიხსენით ქონება განადგურებისაგანო.

არც ტფილისის ქუჩები იყო მოსვენებული. სროღია და თავდასხმა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, შეღამდებოდა თუ არა, ქუჩაში შიშით ვეღარ დადიოდა ხალხი.

ხშირი იყო ისეთი მოვლენა, რომ ქუჩაში ატიტვლებდნენ ადამიანს და ისე უშვებდნენ.

ასეთი იყო მდგომარეობა ტფილისში შარშან ამ დროს და უფრო ადრე.

ტფილისის ყველა უბნის მუშები და რევოლიუციის ერთგულნი იარაღში ჩამჯდარი ფეხზე იყო დაყენებული, ქუჩებში დადიოდნენ გვარდიელთა პატრულები. თავდაცვის კომისია შეძლების და გვარად ყველგან უგზავნიდა ქონების გადასარჩენად სადარაჯოთ გვარდიელებს-

იმ დროს სუსტი და მოუწყობელი მილიცია უძლური იყო დაეცვა ქალაქი. პირ იქით გვარდიას უხდებოდა თვით ამ მილიციის დაცვა და მათი პირდაპირი მოვალეობის შესრულება.

გვარდიამ მოსპო და აღმოფხვრა ცნობილი მძარცველთა და მკვლელთა ეგრედ წოდებული «ბედნი კიტაის» ჯგუფი, გვარდიამ აღმოაჩინა და დააკავა სარაყამიშის ხაზინის მძარცველნი და სხვა მრავალი.

გვარდიამ მრავალჯერ ტფილისს თავიდან ააცილა სომეხ-თა. თათა ხოცვა-ჟლეტა, იყო შემთხვევები, როდესაც გვარდიელები ტყვიის წვიმის ქვეშ ავტომობილებით დაქროდნენ თათარ-სომხების უბნებში და შეგნებულ თათარ-სომხემის ამხანაგების დახმარებით ძლივს თავიდან ააცილეს ტფილისს ძმათა საშინელი ჟლეტა.

გვარდიას მრავალჯერ უხთებოდა «სამოსუდების» ლიკვიდაცია.

შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ სახელმწიფო და კერძო ქონებათა და მოქალაქეთა სიცოცხლის მხსნელათ მხოლოდ გვარდია წარმოადგენდა უმთავრეს ძალას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ხანათ თფილისში ეწყობოდა ნაციონალური-პოლკები ასეთი პოლკები იყო: რუსული, ქართული, სომხური, უკრაინული, აისორული, თათრული, ბერძნული, პოლონური, ოსური. და ვინ მოსთვლის კიდევ რა ნაირი. ყველა ეს პოლკები უწყალოთ და უანგარიშოთ ეზიდებოდნენ საინტენდანტო საწყობებიდან აუარებელ ქონებას— ამ ქონებას აწყობდნენ საკუთარ კაზარმებში და მერე იქიდან იწყებოდა ამ ქონების უწყალოთ ძარცვა. გვარდიას მოუხდა მრავალ ასეთი ქონების დაცვა და ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ მრავალი ასეთი ქონება სრულიათაც ჩამოართვა ბევრ ჯარების ნაწილს და გადაარჩინა გაძარცვას.

ასე იღვწოდა და იცავდა გვარდია სახელმწიფო ქონებას და რევოლიუციის მონაპოვარს. გვარდიამ დღემდე პირნათლათ შეასრულა თავისი მისსია და ამიერიდანაც ამ გზით განაგრძობს სიარულს.

**ს. მაისურაძე.**

## სადახლოს ამბები.

უნდა ვაღიაროთ, რომ რკინის გზის მოსამსახურენი განსაცვიფრებელ სიმხნევეს და საქმისადმი სიყვარულს იჩენენ! მათი მდგომარეობა აუტანელია. ჯერ იყო და ფრონტიდან ეშელონების გავლის დროს მათი სიცოცხლე ყოველ წუთს საფრთხეში იყო, ამას მოყვა შამხორის და სხვა ამბები. ამ ჟამად, ყარსის ლიანდაგზე ისინი უარეს დღეში იმყოფებიან—ბიაბურ მინდვრებში აშენებულ სადგურებს თავს ესხმიან თათართა ბრბოები, სძარცვავენ და იკლებენ მათ... სადგურებს, აშაგასერანს, კოდახს, კუმახს და სანდარას თავს დასხმიან და მთლად გაუძარცვავთ. ტირილი მოუვიდოდა კაცს, როდესაც ჩამოვლის დროს ეს სადგურები ვნახეთ—ოდესღაც ცოცხალი და მოძრავი სადგურები გულსაკლავათ ჩაბნელებული გამოიყურებოდნენ. საცხოვრებელი ბინებიდან ყველაფერი წაელოთ. ტელეგრაფის და «ჟეზლის» აპარატი რაღაც მანქანებით ჯერ კიდევ უვნებლათ დარჩენილიყო. სადგურ სანდარაზე ასეთ კურიოზს წავაწყდით: სადგურში სანათი ბეუტავდა, როდესაც შევედით ერთი თათარი ვნახეთ, შეკითხვის დროს თუ რათ არის ის აქ—გვიპასუხა: სოფელმა გამომაგზავნა მე აქ სადგურის «უფროსათ» და მეთვალყურეთო! ჩვენც შეურიგდით ამ გარემოებას და სრულიად უკაცობას ვარჩიეთ იმის იქ დატოვება მეთვალყურეთ.

სადახლოში ცხარე ბრძოლის დროს გვქონდა ისეთი მომენტი, რომელიც ფრიად კრიტიკული იყო ჩვენთვის,—გარს შემორტყმულნი, ხიდები დამწვარი და ყველაფერს მოწყვეტილნი. მაგრამ უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვსთქვა ჩვენი გვარდიის სასიქადულოთ, რომ წარბი არავის შეუხრია, ყველამ გადავწყვიტეთ არაფრის გულისთვის უკან არ დაგვეხია და გვებრძოლა ბოლომდის!

12 მარტს, იქნებოდა საათის 2, როდესაც ჯავშნიანი მატარებელი სანაინის მხრისკენ გზის დასათვალიერებლათ გავსტუმრეთ. მას აუტეხეს სროლა. უნდა აღვნიშნო, რომ რომელიმე დამწვარ ხიდს რომ მიუახლოვდებოდით, მაშინათვე სროლას დაგვიწყებდენ, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ ხიდის გაკეთებაში. როდესაც მატარებელი ხიდთან გაჩერდა, სანაინის მხრიდან მოისმა ხშირი სროლა, რომელიც მთელ დღეს სწარმოებდა. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ლიანდაგს გასწვრივ 30 კაცამდე შავი მწკრივი («ცეპი»), რომელიც ბრძოლით მედგრად წინ მოიწევდა, მიუხედავათ იმისა, რომ ისინი სრულიად დაუცავი იყვენ და ტყვია წვიმასავით მოდიოდა, მაინც უშიშრად წინ მოიწევდენ. რა მოგვიახლოვდენ, ესენი აღმოჩდენ სანაინის დეპოს და რკინის გზის მუშა-მოსამსახურეების წითელი გვარდია, მათ შორის იყო სტუდენტი—გზის ოსტატის შვილი, რომლის გვარი არ ვიცი—თითქმის ყველა ქართველები იყვენ. ამათთან შეხვედრამ დიდი სიხარული გამოიწვია. მათ გაეგოთ თუ არა ზარბაზნების ხმა, ველარ მოეთმინათ და ჩვენსკენ წამოსულიყვენ. ამ რიგათ სანაინის მხრივ გაიბა ძაფი და ეს კი უკვე ნახევრათ გამარჯვება იყო. ამათივე მთავარი დახმარებით, რომლებსაც რკინის გზის შესაკეთებელი მასალები თან წამოეღოთ, შევუდექით დამწვარი ხიდის შეკეთებას, რომლის კეთების დროსაც განუწყვეტელი სროლა იყო და ერთი სანაინელი ამხანაგი კიდეც დაგვიჭრეს... ხიდი მალე მზათ იყო...

მოსულებმა გვიამბეს, რომ ორი ათასზე მეტი სომხის შეიარაღებული გლეხკაცობა მწკრივათ მთელ მიდამოს მოსდებია და ბრძოლით წინ მოდის. ჩვენ მაშინვე მატარებელით გავეშურეთ. ერთი ვერსი რომ გავიარეთ, მართლაც დავინახეთ აუარებელი შეიარაღებული ხალხი. ამ სურათმა ფრიად მძიმე და წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზე, ეს ილაჯ-გაწყვეტილი მშრომელი ხალხი იმის მაგივრათ, რომ საგაზაფხულო სახნის-საკვეთისათვის მოეკიდა ხელი, რომ «პური ჩვენი არსობისა» მოიწიოს, აუღია ხელში ადამიანის გამანადგურებელი იარაღი და თავის ძმაზე სასისხლოთ მოიწევს. დაეწვათ და გაეძარცვათ რამდენიმე თათრის სოფელი—რასაკვირველია, როცა მოახერხებდნენ ეს უკანასკნელნიც ასევე უზღავდენ... რა მიუახლოვდით სანაინელების «შინაურულათ» გაკეთებულ ჯავშნიან მატარებელს, ვნახეთ, რომ მის წინ საშიშრათ გამოიყურებოდა ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყე საუკეთესი მრავალ ბრძოლაში გამოვლილი—ჯავშნოსანი ამხ. ვალ. გოგუაძის მეთაურობით. წუთები ფრიად სასიხარულო იყო და დასრულდა ორი ზარბაზნის «სალიუტით». ამას შემდეგ გამარჯვებაზე ეჭვიც კი ცოდვა იყო. მაშინვე დავიბარეთ სომხების ლაშქარის უფროსი და გავაცანით ჩვენი მიზანი და მასთან განვუცხადეთ, რომ ჩვენ თფილისის შეიარაღებული რევოლიუციონური დემოკრატია განურჩევლად ეროვნებისა, არავის ნებას არ მივცემთ სადაც ჩვენა ვართ, რომ ვინმემ სოფლები დასწვას და გაანადგუროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სასტიკ ზომებს მივიღებთ-თქო. ასეთი ჩვენი მოთხოვნის შემდეგ იმათ აღგვითქვეს, რომ შევაჩერებთ ჩვენ წინსვლას და მოქმედებასო. მართლაც იმ მხრიდან შეტაკება ჩვენ წამოსვლამდის აღარ განმეორებულა. აქვე შევიტყვეთ, რომ ჩვენი ამხანაგები ამხ. ძიძიგურის მეთაურობით, რომლებსაც ტყვიის მფრქვეველები მიქონდა ყარსისკენ და რომლებიც სადახლოში წართმევის შემდეგ თათრებს გაეშვათ იარაღიანათ,—როგორც ქართველები,—ერთ-ერთ სადგურზე სომხებს დაეტუსაღებინათ და იარაღი აეყარათ. ეს ცოტაა. იმ ღამეს კინაღამ თვითგასამართლება არ მოეხდინათ მათზე.

თქვენ ქართველები თათრებს ტყვიის მფრქვეველებს ურიგებთ, ჩვენ კი გვატყუებთ—წაგვართვესო. ასე გვეუბნებოდენო, გვიამბეს ამხანაგებმა. ისინი სიკვდილისაგან ეხსნა სანაინელ ამხანაგებს და ამ დროს გოგუაძის ჯავშნოსანსაც მიესწრო.

სადგურზე დაბრუნებისას, როდესაც უკვე წამოსველას ვეპირებოდით, მოვიდენ სადახლოელი თათრები, რომლებმაც მოიტანეს თათრის კორპუსის უფროსის—მაღალოვის წერილი, რომელიც თფილისიდან იყო გამოგზავნილი საქმის გამოსარკვევათ. მაღალოვი იტყობინებოდა: სადახლოდან სამ ვერსზე ერთი სოფელია. რომელსაც სომხები ესხმიან და დაწვას უპირებენო. ხალხი გთხოვთ თქვენ, რომ ნება მისცეთ იარაღით წინააღმდეგობის გაწევისა, მეც პირადათ გთხოვთ, რომ ზომები მიიღოთო. ჩვენ მყისვე ამხ. ვ. ჯუღელი გავაგზავნეთ სომეხი და თათარი გვარდიელების თანხლებით იქით, საცა ეს ამბავი ხდებოდა.

დაბრუნებისას გვიამბეს, რომ მიზნისთვის მიეღწიათ და ასეთი ამაღელვებელი სურათიც ყოფილიყო: როცა თხრილებიდან ამოსულიყვნენ თათრების და სომხების მოხუცებულები, თვალცრემლიანნი ერთმანეთს გადახვეოდენ და შენანიებით დაეკოცნათ ერთმანეთი. ამ რიგათ ერთმანეთზე იარაღ აღებულებმა სცნეს თავიანთი შეცდომა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ისინი პროვოკაციის მსხვერპლნი არიან და შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა...

ყველა უბედურებასთან ერთად სადგურზე არ იყო წყალი ორთქლმავლებისათვის, მაგრამ მუშა რის მუშაა თუ თავის ბედს თითონ არ გასჭედს! თოფ-აკიდებულმა ხელოსნებმა მსწრაფლ გააღეს წყლის საქაჩავებელი მანქანების სადგომი, მანქანები მოიყვანეს მოძრაობაში და ერთი საათის შემდეგ რამდენიც გნებავდათ წყალი იყო... ოშაგასერონიდან მოსულმა მუშებმა შეაკეთეს დამწვარი ხიდები და 12-ში ღამე გამოვუდექით გზას ორი მოკლული და 16-ტი დაჭრილი ამხანაგებით. აქ კიდევ ბევრი დარჩა სათქმელი, მაგრამ წერილი ისედაც გაგრძელდა.

სადახლოში დავტოვეთ ერთი ჯავშნიანი მატარებელი ამხ. ვ. შარაშიძის მეთაურობით. მიუხედავათ იმისა, რომ ამხანაგები სამი დღის უძილონი და ბრძოლაში გამოვლილნი იყვნენ, მაინც ხალისით დარჩენ სადახლოში, რომ მოსამსახურეები უზრუნველ ეყოთ.

**ს. მაისურაძე.**

P. S. იარაღი, რომელიც სომხებს აეყარათ ჩვენი ამხანაგებისათვის, ამხ. ალ. დგებუაძეს ერთი თოფის გარდა ყველა ჩააბარეს და უკანვე მოიტანა მან. **ს. მ.**

## სოჭიდან როსტოვამდე.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში გავემგზავრე სოჭიდან როსტოვისკენ.

გემი, რომლითაც ჩვენ წავედით, მიდიოდა დატვირთული პირდაპირ როსტოვში. ნოვოროსიიდან რკინის-გზით წასვლა სახიფათოა, რადგანაც ეგრეთ წოდებული «დობროვოლჩესკაია არმია,» რომლის მიზანიც არის ძველი წყობილება აღადგინოს, სასტიკად სდევნის ქართველებს, ამიტომ ვარჩიეთ ზღვით მოგზაურობა.

სოჭიდან ქერჩამდინ მოუნდით 26 საათი—როდესაც ქერჩის ნავთსაყუდელში შედიხართ, შუა წყალში არის დაყენებული გერმანელების სადარაჯო, რომელიც არც ერთ გემს არ უშვებს, თუ მას ამისთვის სათანადო ნებართვა არ აქვს, ქერჩში და საერთოდ ყირიმში სრული ბატონ-პატრონები არიან გერმანელები, ამათ ხელშია ყველაფერი. გერმანიის მარკა ფასობს აქ 90 კაპ. რუსულ ფულზე. ყირიმს საკუთარი ფული არ აქვს; თუმცა ყავს საკუთარი მთავრობა. შეიარაღებული ძალა არავითარი არა ყავს გარდა საქალაქო პოლიციისა, (როგორც იქ ეძახიან) რომელნიც მარტო ხმლებით არიან შეიარაღებული.

ცოვრება ნორმალურ კალაპოტშია ჩამდგარი და ქალაქს გარეგნული სიწყნარე აშკარად ამჩნევია—მუშათა ორგანიზაციები ძალიან შევიწროვებულია და თუ მხედველობაში არ მივიღებთ მეზღვაურების პროფესიონალურ კავშირს, ლეგალური ორგანიზაციები თითქმის აღარ არსებობენ—გამოდის პატარა ფორმატის მენშევიკური ს.-დ. გაზეთი, რომელიც ძალიან გაუბედავათ სწერს... ზოგიერთა წისქვილებში და ქარხნებში განაახლეს მუშაობა—«დოკში» და ზღვის ნაპირზე გაცხარებული მუშაობაა გემების შეკეთებაზე. სამაგიეროდ საცოდავად გამოიყურება ამდენ ხანს გაჩერებული მეტალურგიული ბრიანის დიდი ქარხნები და როდის დაიწყებს მუშაობას არავინ იცის... ცხოვრება აქ საერთოდ ძვირია,—პურს გირვანქა 49 კაპეიკათ იძლევიან მხოლოდ ბარათებით. გემიდან გადმოსვლის დროს მგზავრებს ბარგს უსინჯავენ გერმანელები, ეძებენ იარაღს... საერთოდ გერმანელები თავაზიანად ექცევიან ყველას.

ყირიმ-ქერჩსა და ყუბან-დონს შორის ეს არის იწყებოდა ცოტა ნორმალური გემთა მიმოსვლა. ქერჩში ერთი დღის დგომის შემდეგ გავედით აზოვის ზღვით როსტოვისკენ—დავყავით გზაში 30 საათს.

როსტოვში მივედით და თავისუფლად გადავედით ნაპირზე, არავის გაუჩხრეკივართ—გერმანელები აქაც არიან, მაგრამ მათი გავლენა შინაურ ცხოვრებაზე ნაკლებია—მათი მარკა აქაც მუშაობს, მხოლოდ ფასობს 75 კაპიკათ. დონის მთავრობას საკუთარი ფული აქვს. ქალაქში შესვლისთანავე გრძნობთ, რომ სამრეწველო დიდ ქალაქში ხართ—აქ ცხოვრება სდუღს და გადმოდის—მაღაზიები საქონლითაა სავსე. რკინეულობაც ბევრია—მხოლოდ არა სჩანს მანუფაქტურა—სანოვაგე და პური (თეთრი გირვანქა 90 კაპ.) თავზე საყრელია—ფქვილი კარგი ხარისხისა 35—40 მანეთს ფასობს.

აქ ცუდი ატმოსფერაა შექმნილი ქართველების შესახებ. ჩვენ გვაბრალებენ სუყველაფერს: რომ დიდი რუსეთი ერთმა მუჭა ქართველებმა დაანგრიეს—რომ ჩვენ მივითვისეთ რუსეთის აუარებელი ქონება, რომ ჩვენ უწყალოთ ვერეკებით რუსებს და სომხებს საქართველოდან. გვაგინებენ და გვლანძღავენ ყველგან: ქუჩაში, რესტორანებში, ტრამვაის ვაგონებში—პრესაში ხმა ველარ ამოგვიღია, ჩვენს წინააღმდეგ ისეთი მოშხამული აგიტაცია სწარმოებს, რომ «პოგრომისაც» კი გვეშინია!

არ იფიქროთ, რომ ყოველივე ნათქვამი გადაჭარბებული იყოს ან გამოგონილი, ჩვენ ხელთა გვაქვს აუარებელი გაზეთები და ამონაჭრები, რომელნიც დაამტკიცებენ ყოველივე ჩვენს ნათქვამს» ასე დააბოლოვა სიტყვა ბ-ნმა ქინქლაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც დონისა და ყუბანის ოლქებში ვერ ნახავთ ვერც ერთ გაზეთს, რომ არ იყვეს რაიმე ყალბი ცნობა და ჭორი საქართველოს რესპუბლიკაზე და მის მთავრობაზე მოთავსებული. ერთი და იგივე ჭორი იბეჭდება რამდენიმეჯერ, რომ წაუშლელი შთაბეჭდილება დასტოვოს მკითხველზე. მთელ დონის ოლქში არც ერთი დემოკრატიული გამოცემა არ გამოდის, რომ საშვალება მიეცეს იქაურ ქართველებს რაიმე პასუხის გაცემისა.

მერე ვინ არიან უმთავრესი მიზეზი ამოდენი ღვარძლის ნთხევისა? ვინ და სომხის ვაჭარ-შოვინისტები ბ-ნ გრიგორ ჩალხუშიანის მეთაურობით, ყოფილი ხულიგან-ბიუროკრატ-ჩინოვნიკები... უმთავრესათ კი სომხის შოვინისტები, რომლებმაც ოსმალეთის სომხეთში დაღუპეს სომხის ხალხი და ახლა უნდათ ისევე ბედი მიაკუთნონ ამიერ კავკასიის სომხის დემოკრატიასაც—რაც მათ ბაქოში უკვე ჩაიდინეს—ამ ვაჟბატონებს ვერ მოუნელებიათ საქართველოს დემოკრატიული მართვა-გამგეობა და ყოველ საზიზღარ საშუალებას ხმარობენ რამენაირათ ეგი დაანგრიონ.

მთელ დონის ოლქში დემოკრატიული აღარ არსებობს რა—სოციალისტურზე ხომ ლაპარაკიც მეტია: სიტყვა «რესპუბლიკა», «ამხანაგი» და «წითელი დროშა» აქ კარგა ხანია «მოდიდან» გამოსულა—ლეგალური ორგანიზაციები აღარ არსებობენ. ყოველისფერი დანგრეულია—წარსული თავისუფლების აქ მხოლოდ მოგონება ღაა. ეს კარგათ უნდა დაინახსოვროს ქართველმა დემოკრატიამ და განსაკუთრებით უნდა უმადლოდეს ჩვენ სახალხო გვარდიას,—რომელმაც შესძლო საქართველოში რევოლიუციის მონაპოვრთა შენარჩუნება.

დონისა და ყუბანის ოლქებში ცხარე შეტაკებები ბალშევიკებსა და დონის ყაზახთა შორის ჯერ კიდევ სწარმოებს. ყაზახებს ეხმარება «მოხალისეთა ჯარი». სტანიცებში მრავალ ალაგას საყდრის გუმბათები დახვრეტილია ყუმბარებით. როდის მოეღება სამოქალაქო ომს ბოლო, არავინ იცის.

ყაზახებს და «დობროვოლცელებს» იარაღი და ტყვია-წამალი ნაკლებათ აქვთ... ჩინელ მუშებს მთელ დონის ოლქში იჭერენ და საზღვრებიდან ეროკებიან, რადგან უკანასკნელნი ბოლშევიკებს ემხრობიან. მიუხედავათ ზემო მოყვანილისა, მაინც შესაძლებელია ყუბან-დონიდან ფქვილის და ზოგიერთ საგნების გამოტანა, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა იქ გაიცნო წიგნის მცოდნე პირები და ერთ თვეს მაინც უნდა დარჩენ იქ. სამი დღე როსტოვში ყოფნის დროს, სადაც კი ხმა მიგვიწვდა, ვაძლევდით ცნობებს საქართველოს შესახებ და ვაბათილებდით ყალბ ხმებს.

**ს. მაისურაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სახალხო გვარდიას*)

ჩვენ გვინდა ვუამბოთ მკითხველებს სახალხო გვარდიის შესახებ, იმ სახალხო გვარდიის, რომელმაც მარტო აიტანა შინაგან ბრძოლის და გარეშე მტრის მკაცრი შეტევა: ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ფაქტებს იმ მოქმედების შესახებ და დარწმუნებული ვართ, რომ ყოველივე ნამდვილი დემოკრატი ღრმა პატივისცემით განიმსჭვალება დემოკრატიის გმირ მებრძოლთა მიმართ.

სახალხო გვარდია წარმოიშვა იმ კრიტიკულ მომენტში, როდესაც რუსეთში ბოლშევიზმმა გაიმარჯვა.

საქართველოს დემოკრატია მიხვდა, რომ ეს გამარჯვება ანარქიის და შინაგან ბრძოლის დასაწყისია და საჩქაროთ შეუდგა თავის ძალების მობილიზაციას.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს დადგენილებით, მის აღმასრულებელმა კომიტეტმა შეაიარაღა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მუშები და მოქალაქენი, განურჩევლად ეროვნებისა. სახალხო გვარდიაში შესვლა შეეძლო ყველას საზოგადოებრივი ორგანიზაციის რეკომენდაციით.

დემოკრატიულ საფუძველზე, შეგნებით და მტკიცე სამხედრო დისციპლინით შეკავშირებულ სახალხო გვარდიას მოუხდა ჯარის კაცების ბოლშევიკურ ბანდების წინააღმდეგ ბრძოლა.

218 პოლკის კომიტეტმა უარი განუცხადა აღმასრულებელ კომიტეტს იარაღის თფილისის საარტილერიო საწყობის გადაცემაზე. მოლაპარაკებით ვერაფერს გახდენ და არსენალი ძალით იქნა აღებული.

ყველაზე მძიმე დღეები სახალხო გვარდიისთვის დადგა, როდესაც კავკასიის ფრონტს ჯარი მოეხსნა.

ჯარმა გაყიდა ნაწილი იარაღებისა და სახელმწიფო ქონებისა, მიუტოვა ოსმალებს მილიარდებათ ღირებული ქონება და გამოეშურა შინისაკენ.

ამ ბოლშევიკურად განწყობილ მასას თფილისის ახლოს უნდა გაევლო.

ამ დროს არც ბოლშევიკებს ეძინათ თფილისში და ყოველი ღონისძიებით ცდილობდენ თფილისში ძალა-უფლების ხელის მოპოებას.

---

*) ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთ «თავისუფალ აზრში», რომელიც სოჭის ოლქში გამოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ ამიერ-კავკასიაში არეულობა იყო, წამსვლელი ჯარის კაცები ანადგურებდნენ ხალხის ქონებას, არც გაეროვნებულ ნაწილი რჩებოდა მათ უკან.

მთელი საგარნიზონო სამსახური, სახაზინო საწყობების, საინტენდანტოების, ბანკების, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების, ქალაქისა და სამაზრო კავშირების დაცვა თავს დაატყდა სახალხო გვარდიას, მას უხდებოდა ყოველ დღე 500 კაცის საყარაულოდ გაგზავნა.

ამავე დროს საქართველოში დაიწყო ანარქიული გამოსვლები, რომლის მიზეზი იყო საზოგადო ეკონომიური განსაცდელი და ოსმალების და ბოლშევიკების აგენტთა მოქმედება.

თფილისის და მთელი საქართველოს ბედ-იღბალი ძაფზე ეკიდა.

და სახალხო გვარდიას უნდა მიეღო თავის თავზე ახალი ვალდებულება და წესრიგის დამყარება.

ეწვია საქართველოს ახალი განსაცდელი, აღმოსავლეთიდან მოაწვა მას ოსმალო, ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები, ამავე დროს მოხდა სამეგრელოში აჯანყება.

საქართველოს დემოკრატია გაოიყული დარჩა, არსაიდან დახმარება არა სჩანდა; ჯარებმა ვერ აიტანეს გარეშე მტრების იერიში; ბათუმში გაგზავნილი ტფილისის სახალხო გვარდია უნდა წასულიყო სამეგრელოში. ის მხოლოდ მაშინ მიეშველა ჯარს, როდესაც ჩააქრო აჯანყება და საერთო ძალებით შეჩერებული იქმნა მტრის წინსვლა.

ომმა და ოსმალოების შემოტევამ გამოიწვია ახალი ლტოლვილთა ტალღები.

ისინი ათიათასობით შემოვიდენ თფილისში.

სახალხო გვარდია მათ შეძლებისდაგვარათ დაეხმარა, ის აცმევდა გაჭირვებულ ლტოლვილთ და კვებავდა ზოგ მათგანს. და სხვანაირათ არც შეეძლო მოქცევა, რადგან სახალხო გვარდიის სიცოცხლე ეს საქართველოს სიცოცხლეა, და დღემდე სახალხო გვარდია არის საქართველოს რესპუბლიკის დედა-ბოძი.

მას თამამათ შეუძლია სთქვას, რომ შეასრულა თავისი დანიშნულება. იმ დროს, როდესაც მთელ რუსეთში ნგრევის და სამოსუდების ტალღამ წალეკა მუშების თვითშეგნება, ჩვენმა სახალხო გვარდიამ მკერდი შეუშვირა ანარქიის საშინელებას, დაიცვა მოქალაქეების სიცოცხლე და შეინარჩუნა კავკასიის დედა-ქალაქი თფილისი.

სახ. გვარდ. **სანდრო მაისურაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემი დღიურიდან.

**ეკატერინოფელდი 1918 წ. 19 დ. განთიადზე.**

გუშინ მთელი დღე სთოვდა. დიდი ხანია არ მინახავს ასეთი ლამაზი თოვლი. მძიმე და ცივი იქნება ომი. ძლიერ ცივი!..

აქ თავმოყრილია ჩვენი საუკეთესო ძალები. ახალი ძალებიც გვემატებიან. ეკატერინოფელდში შეგვხდენ სანდრო და გიორგი ხიმშიაშვილი. ისინი მოუთმენლათ მოგველოდენ და ჩვენმა მისვლამ ააფრთოვანა ორივე. ჩვენ ვეხუმრებით სანდროს მისი უკანასკნელი დეპეშის შესახებ, სადაც ის სწერდა:

«საჩქაროთ დაგვეხმარეთ. შეიძლება უკანასკნელათ გესაუბრებით». სანდროც ხან იცინის, ხან ბუზღუნებს, სწყრება.

ხვალ გადავალთ დიდი ხაჩინის შეტევაზე. უსათუოთ გავიმარჯვებთ, მე ეს ვიცი.

ეკატერინოფელდი დიდი სოფელია, მშვენიერი სოფელი, მდიდარი, კულტურული, ლამაზი. ფართო ქუჩები განათებულია ელექტრონით, ყველგან წყალი არის გაყვანილი. ბევრ სახლებში პიანინოზედაც უკრავენ.

როდის მიახწევს ასეთ სიმაღლეს ჩვენი სოფელი?!. დიდი ხანი გაივლის მანამდე.

**ეკატერინოფელდი 1918 წ. დეკემბრ. 19. დილის 11 საათი.**

ეს არის გათავდა ბრძოლა... მძიმე, მოულოდნელი, შესანიშნავი ბრძოლა. ეხლაც კი ისმის შორეული თოფების ხმა. ჩვენები მისდევენ დამარცხებულ მტერს...

მე ძლიერ, ძლიერ დავიღალე, და ყველანი ჩვენ დაღლილები ვართ.

ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ძვირათ დაგვიჯდა გამარჯვება... მოგვიკლეს ძვირფასი, შეუდარებელი გმირი სანდრო... დიდებული, განსაკუთრებული გამარჯვება მოგვიშხამა ამ ამხანაგის დაკარგვამ.

მე და ალექსანდრე ცოცხლები დავრჩით და გავიმარჯვეთ. ალექსანდრეს მოსასხამის ზურგში მოხვდა ტყვია. მაგრამ ის უვნებელი დარჩა... სანდროს კი გულში მოხვდა ტყვია! ერთ წუთში განუტევა სული, ბედნიერი სიკვდილი ელირსა!..

მრავალი მსხვერპლი იყო. ჩვენ ვკრებთ ცხედრებს და მათი გროვა სულ იზრდება. ყველა ესენი ჩვენი საუკეთესო ამხანაგები არიან, თავის სიკვდილით მათ იხსნეს სამშობლო... ეს უსახელო გმირები არიან.

ეს სამკვდრო ბრძოლა იყო... და მან გადასწყვიტა ჩვენი ბედი. ბედი ქართველი დემოკრატიისა. და ამიტომ ჩვენ უნდა დაგვრჩენოდა გამარჯვება... ჩვენ უფლება არ გვქონდა დავმარცხებულიყავით... ან უნდა მოვმკვდარიყავით, ან უნდა გაგვემარჯვებია!..

ღამე ყოველი მხრიდან შემოგვესია მტერი. დილით ადრე ის გადავიდა შეტევაზე, შემოიჭრა ჩვენ სოფელში, წაგვართვა 8 ზარბაზანი და დადგა სახლის თავებზე ტყვიის მტყორცნელები... პირველი ზარბაზნების ხმა გაისმა დილის 6 ს. ჩვენი შტაბიდან ბევრს ეძინა, არავინ არ იცოდა ომში იყო საქმე. ზოგს ეს შემთხვევითი სროლა ეგონა. მაგრამ ამ დროს გაისმა ზარბაზნების და ტყვიის მტყორცნელების საზარელი ხმა და ყველა მიხვდა, რომ დაიწყო საბედისწერო ბრძოლა.

დაიწყო ბრძოლა შესანიშნავი, შეუდარებელი ბრძოლა. ყველა თავ განწირვით იბრძოდა. ალექსანდრე, სანდრო და მე ოიგში ვიდექით და ვამხნევებდით სხვებს ჩვენი მაგალითით... მე მარცხენა მთაზე ვიყავი, ცოტა უფრო მარჯვნივ იბრძოდა ალექსანდრე, კიდევ უფრო მარჯვნივ ჩვენი სანდრო და სამივენი ერთად ვაწარმოებდით შეტევას.

მე სრულებით დამშვიდებული ვიყავი, რადგან ვხედავდი გვარდიელების სულში ანთებულ ბრძოლის წმინდა ცეცხლს და ვიცოდი, რომ ისინი ან გაიმარჯვებენ ან გაწყდებიან, დაიხოცებიან ყველანი და მათთან ერთად მეც.

ბრძოლა უფრო და უფრო ცხარე ხასიათს იღებდა... უცებ მოვარდა ერთი გვარდიელი და მითხრა: «სანდრო მოჰკლეს». მე გავფითრდი! მაგრამ ცრემლების დრო არ იყო... ეს საშინელი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მეომართა წყებებს, მაგრამ არ შედრკა ეს წყებები... პირიქით! კიდევ უფრო მეტის სიმტკიცით და სიძლიერით გაიწიეს წინ, გამარჯვებისაკენ.

ბრძოლა კი უფრო და უფრო ცხარდებოდა... თეთრი თოვლი წითლათ იყო შეღებილი. მკვდრები, ცოცხლებივით მშვიდი სახეებით, ეყარენ აქა-იქ. მეორე გვარდიელმა მომიტანა ამბავი «ალექსანდრე მძიმედ დაიჭრაო». გული შემიღონდა. მივხვდი, რომ მოვიდა ჩემი სიკვდილის დროც და რაღაც ცივმა სიმშვიდემ მოიცვა ჩემი გული. მე დავირბინე ფრონტი და ვამხნევებდი მებრძოლთ. უცებ მე წავაწყდი ძვირფასი სანდროს უსულო გვამს. ის გულ-აღმა იწვა, თვალები ნახევრად ღია დარჩენოდა, თითქო იღიმებოდა... მე უსიტყვოდ გამოვესალმე მას... და მივმართე გვარდიელებს: «ამხანაგებო! თქვენ ხედავთ მოკლულ სანდროს, მისი სიკვდილი მოგვიწოდებს

ი 595 /455



ჩვენ გამარჯვებისკენ! ჩვენ არ გვაქვს დასაბრუნებელი გზა! ჩვენი ხსნა მხოლოდ გამარჯვებაშია, ჩვენი გზა წინსვლა არის!» მთელმა ფრონტმა იგრიალა «ვაშას» ძახილით და გვარდიელებმა განახლებული ენერგიით გასწიეს წინ. დაჭრილები ძლივს დგებოდენ, ხელებს იშვერდენ და ცდილობდენ «ვაშას» დაძახებას.

ჩვენ დავატყვევეთ რამოდენიმე ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი. და როდესაც ჩვენ «ვაშას» ძახილით შევიჭერით ჩვენ განთავისუფლებულ ბატარეებში—იქ დაგვხვდენ ალექსანდრე და ქრისტეფორე.

ალექსანდრე უვნებელი იყო. ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ... ჩვენ იარაღების გვერდში ეყარენ მოკლული და დაჭრილი არტილერისტები... მათ შეასრულეს თავის ვალი!..

ეხლა ჩვენი პირველი ასეული, კაკუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, მისდევდა გაქცეულ მტრებს... ყველა გვარდიელები საშინლად დაიღალენ... მეც დავიღალე, მუხლები მეკეცება.

ძვირფასო, დაუვიწყარო სანდრო! შენ მაგიერი შური ვიძიეთ! ყველანი სტირიან შენს დაკარგვას... მაგრამ შენ დაიღუპე გმირული სიკვდილით...

ბედნიერი სიკვდილით... ეხლა ჩვენ მზათ ვართ...

ველაპარაკეთ ტფილის... გამარჯვება და სიკვდილი!.. სიხარული და მწუხარება!.. საშინელი მწუხარება...

ვ. ჯუღელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 25 მანეთი.